1924 ▼ 27 აპრილი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 8 ან. ბეგარით.



№ 9—10 მაზ. „კომუნისტი“-ს სალიტერატურო—სამხატვრო ორკვირეული დამატება № 9—10

პირველი მაისი

ვარდის თვე..

საპატარძლოდ გამზადებულ ბუნებას მწვანე ხავერდის მანტია გადაუფარია მხრებზე და აუგვირისტებია წითელ ყვავილთა ლილები...

ფირუზ თვალება ცის კაბადონი მადლიანად იყურება დაბლა და, ზღვის მარმაშა ზვირთებში ნაწნავებს ისწორებს ეთერი...

იალქნებ-ატეხილი კრეისერები სერავენ უსაზღვროებას.

ატლას ლოყება მზე, მარჯნის ბაგეთა—შორის აჩენს სადაფის კბილთ და იცინის ბროლის ყელ მოღერებული; ოქროს მძივებით აკინძულ ჯვირგვინს ადგამს საქორწინოდ გამზადებულ ნეფესავით თმა-აქოჩრილ მთებს, რომელნიც ნეტარებით იზმორებიან სილამაზის სარეცელთან და იფანტავენ შუალზე შემოხვეულ ნისლის ქარავნებს.

მოუსვენარი ჩანჩქერნი, მაღლით სიცოცხლის კარნახით დაქანებულნი, უკრავენ ზღაპრულ დუდუკს, აცეკვებენ ვერცხლის ცვართ და, თავში უფაჩუნებენ, ლოთიანად, ახლად თვალ ახელილ ბალიშზე განებივრებულ ყვავილებს, აშეშვნინებს ტანს და მიიკლაკნებიან მობიბინე ქარგაზე ანკარა რუდ, რათა უბეს ჩაეხუტონ ფაფარ-აყრილ დედა მდინარეს, რომელსაც, ცოფმორეულს, ვერ უძლებენ ჯებირები, და მოუთხრონ მთათა ლეგენდები...

გაბაფხულის მოუსვენარი მაყრიონი, კუდ-მაკრატელა მერცხლები, მოიმღერიან უკვდავ ჰანგებს...

გახარებული სიო რაღაცას ჩურჩულებს უტყვი—ენით და ულიტინებს ვნებით ატოკებულ ველ მინდვრებს, რომელთა ნოყიერ ძუძუებს რძე სდის შადრევანად, უნაზეს სალბუნით... ლვინისფერი ვარდი თავდავიწყებულ სალამს უძღვნის თვალ-ქუჟუნა იას, რომელსაც თავი ძირს დუხრია



ამხ. ფრიცკი

მორცხვად... ამღერებულ ბალში ნუში ალვერდს გადადის ალუბალთან...

აკვირტებული ვენახი ოიმიმება... და ოღვიძებს სოფელი...

კორდზე მადიანად შეფენილ ნახირს დაჭანტრის მხართეძოზე წამოწოლილი მწყემსი, და სიამით აკვნესებს სალამურს...

გაპენებული მაისი იყურება ცის ლურჯ სარკეში..

ფრთა-აწყვეტილი ქალაქი გაჭკვის..

ქუჩები შებმად იწვევენ მაყურებელს თავისი რკინის კუნთებით და გაღეღილ მკერდს აჩენენ ბარიკადებზე გადახდილ ბრძოლებში მიღებულ ჭრილობით, რომელსაც დაფნის შტოებით უგრილებენ გამარჯვების პირისფარეშნი, და აზანზარებენ მისი ანცა ჰეროლდნი, ძველს მსოფლიოს, ახალ ცხოვრების საყვირებით...

გაგიჟებული ორთქლმავალები ალიანდაგებენ, ფოლადის ძაფებით, საოაზისოდ დამწიფებულ უდაბნოებს და შუბლით მიაპობენ ახალ გვირაბებს..

თავხედი ჰაეროპლანები ყირაზე გადადიან, და სარტალ-მორტალით, ჭკრავენ კამარას აღმოუჩენენ მთიელია ძიებაში.

მოტორი ვუგუნებს და პროპელერი ჭკვეთს დაუძლეველ გზებს...

ელექტრონი ელავს და რადიო სადარბაზო ბარათს უგზავნის მარსს, იწვევს სამაისო ნადიმზე, სადაც თამადობს შუშა და მერიქიფე გლები მარდად ავსებს ვალ გადახდილობის ყანწებს..

ზეიმის დარაჯი წითელი მხედარი ძლივს იჭერს აღვირ-აწყვეტილ რაშებს, და მტერთა სასიკვდილო ვექრებში აღმართულ ბუხრების სადეგრძელოს პირველული ავტომობილი თვალს ეფარება...

შესვენებული მანქანა სალტეებს ისწორებს, რათა მალე ასტეროის დინამიური ქშენა..

მკერდზე ვარდებით ამშვენებენ. ამღერებულ პროსპექტს, ახალგაზრდა წყვილები და მშრომელთა სისხლში ამოვლებული და ჯალათებთან მრავალ საუკუნეებში ბრძოლის კოკონზე ალანძული წითელი დროშების ტევრი ტყეები დაფლეთილ ყორებით იწევან ზევით, მზის ცხოველ კოცნაში დასაფერფლად...

მტკიცე ნაბიჯები ზომავენ გადაუთელავ მწვერვალებს. და რევოლიუციის ვეფერანები ათვ ლიერებენ უ-ჩ რაზმებს.

მუ'ია.. მარში... და ინტერნაციონალის ვინილში ხოთქმიანი ვარსკვლავი შრომის სიმბოლო—ჩაქუჩ და ნამგლის საპატიო ყარაულით...

და... ისმის პირველი თქმა მაისის...

რევანში აღებულია...

ითლება აზარმაცები...

დინამიტებით აფეთქებულ მელოტ-თავიან სამყაროს ნანგრევებზე იგება მსოფლიო დიად კომუნის ბასტიონი, რომლის ტრიუმფალურ კართან ეშაფოტზე ჰკიდიან შტატ გარეშე დარჩენილი ღმერთები და უფასო სეანსებით ჯამბაზობენ ოდესღაც თაყვანისმცემელთა ამფითეატრის არენაზე...

განარჯვებული პირველი მაისი კრიალოსნის ყაითანზე ითვლის წელმაგარ ჯიშის საუკუნეებს..

ხ. ერთაწმინდელი.

პირველი მაისი

მთელ მიდამოს ყვავილები მოჰფენოდენ. ბაღებში აქა-იქ აჭრელებულიყვენ ხეხილები, მაისი ახლოვდება.

გაზაფხულის სურნელება ატკბობდა ცხოველებს.

ბუნება შრიალებდა...

ნელ-თბილი სიო დრო გამოშვებით გაარხევდა ყვავილებით დატვირთულ ხეებს, მზეს თავისი სხივები ხარბად დაეწვინა მთელს დედა-მიწაზე, და ზამორის მიერ დატოვებულ სისველეს ნელ-ნელა აშრობდა...

—

აპრილმა დალია სული... უკანასკნელათ ამოისუნთქა და მომხიბვლელი ბუნება ჩაბარა ღამის თორმეტ საათზე მაისის დილას...

ღამეა წყნარი...

ყველაფერი მძინე ძილს მისცემია.

არ ძინავს მხოლოთ ბოროტებას...

არ ძინავს ტანჯას...

დატანჯული იყო ცხოვრების უკეთესობით ლევანი.

ის ცხოვრობდა ქალაქში...

მთელ თავისს სიცოცხლეს დაუდეგარს შრომაში ატარებდა; თვითონ კი მაინც მშიერი იყო!

ვერ გააღო მილიონ მუქთა-ხორების სურვილები და მადა.

ლევანს ცხოვრების ნახევარი გზა გავლილი ქონდა. შუბლზე დაქანცვის ხაზები გახშირებოდა. ხელები ისეთად დასერილი ჰქონდა, როგორც მზე პაპანაქებაში დასერავს მიწის ფენს.

არ ძინავს ლევანს ამ ღამეს...

რაღაც გადაწყვეტილება აწუხებს...

რა?

ამის თქმა არ შეიძლება.

ქალაქი რაღაცას ფიქრობს...

მთვარე ამაყად, დაყურებდა დედა-მიწას, მისი შუქი იბნეოდა აყვავებულს ბუნებაში და აფერადებდა მთელ მიდამოს. ვარსკვლავები კრთოდენ ცაზე, როგორც ენერგიით სავსე ყმაწვილის თვალები...

ვენერა იყო მათი კომანდორი...

— ლევან, ლევან? მოისმა მოულოდნელად ხმა.

ლევან გახარებული წამოდგა ზეზე.

— მოდი, კაცო, მოდი? სადა ხარ ამდენხანს განა ასე დაგვიანება შეიძლება?!

— გვიანი არ არის ჩემო ლევან! მიუგო მოსულმა და ჯიბეებიდან ამოაწყო ბომბები, ამოიღო ერთი რევოლვერი და მიაწოდა ლევანს.

— აი, ლევან ეს შენ ჰქონდეს, ამ რევოლვერმა უნდა გადაწყვიტოს დღესვე შენი ბედი. ან გაიმარჯვებ ან და სამუდამოთ დაგახუჭვინებს თვალს ღიპიანი მტერი.

ლევანმა ერთი გუნებაში მადიანად ჩაიცინა, რევოლვერს ახედ-დახედა და სთქვა.

— მე მკითხე ჩემო სილევან! რა დღე დავაყენო მაგათ, რაც ამდენხანს ჩემი ოფლით უზეიმებიათ ეხლა სისხლით გამოვისყიდი, იცი სისხლით...

— მობრძანდით, შემოდით. შემოდით კაცო! ეუბნებოდა ლევან სხვა ახლად მოსულ მის ამხანაგ მუშებს.

რა უნდოდათ ამ შუაღამეზე ლევანთან?

ამას მაისი გვეტყვის!

ქვეყანამ დაკარგა ღამის ელფერი...

აღმოსავლეთით ცის ჰორიზონტი გახალისებულიყო და ნათელი სახე მიეღო.

ეტყობოდა მზეს ამოსვლა განეზრახა და გახარებული ცა მაისს ეალერსებოდა...

ცაზე იშვიათდებოდა ვარსკვლავთა მეფობა. მთვარე დაეტყვევებია დღის სინათლის მოახლოებას და გაშტერებული იდგა ცის ერთ კუთხეში შეშინებული, შუაღამეზე მბრძანებელი იყო მთელი ბუნების და ახლა კი მოწყალების თვალით იცქირებოდა.

ზოგ ფრინველთ ადრე გაღვიძებოდათ და ნელი ჟივილით გამოძვრენ ახლო მდებარე ბაღებიდან. .

—

თენდება...

დაჰკარი, დაჰკარი, აქეთ,

—აჰა, შენ ძაღლო, ესეც მიიღე. ოხ! მიშველეთ, ნუ გეშინია, წინ ამხანაგებო, ბრძოლა ჩვენია, გამარჯვებას ვერავინ წაგვართმევს. დაჰკარი, დაჰკარი... და მრავალი სხვა ხმაურით შეზარდა ქალაქი მოულოდნელად... ზრ-ზრ, ზრ, ტყვიებმა აიკლეს ყველაფერი, ზარბმზნების ყუმბარები პირდაპირ ქალაქზე ეშვებოდა... სილევანმა გვერდზე ბომბი გადაისროლა: ერთი, ორი სამი და ასე, მანამ სანამ ქალაქი არ შეიმოსა თოფის წამლის კვამლით...

სისხლის ტბორები ამდინარდა... ხიზტებზე წამოშვებული ადამიანები თევზებივით ეწყო ქუჩის ფენილებზე... მზემ თვალებზე ხელი მოისვა, ერთი გაიზმორა და ამობრძანდა ნელა მთიდან...

გადახედა ბუნებას ელვარე სხივებით...

— ოხ, ეს რა ამბავია? უცებ შეკრთა, როდესაც ქალაქში მუშების უთვალავი გვამი დაინახა, სისხლში მოსვრილი.

დროშის ნაფლეთი.

ყორნების ზეიმი... გამარჯვებული მუქთა ხორები ძალოვანით დაყურებდენ გვამებს... „ესეც თქვენ ძაღლებო!“ ფიქრობდა ტანჯულ მუშების სისხლში გამურული ბურჟუა ..

ლევანი კი მისი ამხანაგებით სახე დაგლეჯილი ეყარნენ ქუჩაში...

მათი გვამი მაინც იმედს იძლეოდენ, შეიძლებოდა მათ სახის ნაფლეთებზე შემდეგის ამოკითხვა: „ნუ გეშინიათ, დაიწყო ბრძოლა, ჩვენ მოვკვდით მაგრამ იდეა ჩვენი მარადია, თავისუფლების მტკიცე დამცველი... დღეს ჩვენი მტრები ყვავებივით თავზე დაგვჩხავის, ზეიმობენ, მაგრამ დრომ იცის მათი ბედის განადგურება, არ შეგეშინდეთ! ეს დამარცხება წამიერია, მარადიღლი გამარჯვებისთვის“.

ქალაქს სული ეხუთებოდა...

მზეს მთელი თავისი ძალა მოეკრიფა და ლევანისა და მისი ამხანაგების გვამებს ათბობდა...

ცოტა მიწყნარება და ბრძოლის ველზე დახოცილები მიაბარეს ქალაქის მოედანის ხარბ სამარეს; მზემ პირველმა დაასო მას სხივები.

მათ სამარეს, ლოდების ნაცვლად დაჰკიდეს დროშა ზედ წარწერით: „თქვენ ერთგული ბრძოლით მიებარეთ ცივ სამარეს, გამარჯვებაა ძმებო თქვენი შარავანდედი“.

ასე დაღამდა გაზაფხულის კეკლუცი დღე: მარადი ხსოვნის ფიქრიანი

პირველი მაისი.

შ. ჯანვერდი.

პირველი მაისი

მოვა თუ არა მრავალ ფერებით,
ეს დღე კოპწიად გამოწყობილი,
მოგვეცხუნება მზე გახელებით,
ცის ლურჯ თაღიდან გადმოსროლილი.
ტყე კვლავ ჩაიცვამს სიყმის ქულაჯებს
აიშლებიან ფრინველთ ჯარები,
დაჰბერავს ქარი, ნიავი გრილი,
აბიბინდება პურის ყანები.
ამ ტყეს, ამ მხარეს, ამ გაშლილ მინდვრებს,
ხავერდის მდელო ააზამბახებს,
და სიხალისე ლეგენდარული
გადაეხვევა აკოკრილ ბაღებს.
შრომის შვილები შეეხარით ამ დღეს
გულ მხიარულნი ნაზ ამღერებით,
რომ მზის სხივები უხვად ამკობენ
მთელ არე-მარეს წითელ ფერებით.

ფ. ნაროუშვილი.

◎◎◎ ბიმინას მაისლობა პარიზში ◎◎◎

დარდიმანდი ვაჟკაცი იყო ბიძინა:
მომუშავე.
ძმა ბიჭი.
მოქეიფე.
მოჩხუბარი.
ყველაზე მეტად კი ის იყო თავზე ხელაღებული რევოლიუციონერი.
ბრძოლის ჟინი ელექტრონის ძალივით უვლიდა მთელს ძარღვებში.
ყველა პირველი დემონსტრაციის მოწმე იყო იგი ტფილისში.



ამხ. ცროცკი აღლუმზე.

ცხრაას პირველ წელში, ოცდა ორმა აპრილმა რამდენიმე ცხარე მათრახი აგემა იმის ზურგს.

ცხრაას სამ წელშიც, ორ თებერვალს კარგი ცხარე ლული აადინეს ზურგზე პოლიციელებმა და შემდეგ მეტეხშიც ამოჰყო თავი.

ორი თვის შემდეგ, გამოუშვეს თუ არა, ისევ ჩაერია ლომგულათ ოცდაშვიდი აპრილის დემონსტრაციაში. მსხვილი კეტით კარგა დააყუა რამდენიმე პოლიციელი და ბოლოს ისევ ჩაუვარდა ხელში თავის მტრებს.

რამდენიმე თვის შემდეგ არხანგელსკისკენ უკრეს თავი.

იქ კი წლობით დაისადგურა ჩვენმა ბიძინამ.

მაგრამ იგი მაინც დაუგეშავი რევოლიუციონერი იყო.

მას უყვარდა ქვეყანა და ბრძოლა, მაგრამ არც ეშინოდა დამარცხებისა და სიკვდილისა.

ყველაფერი თვითონ შეისწავლა ეგონებითა და კითხვით.

რევოლიუციურ ბრძოლასთან ერთად—მას საშინლათ ეინტერესებოდა მოგზაურობა სხვა და სხვა ქვეყნებში.

განსაკუთრებით კი ჰხიბლავდა წყეული ევროპა.

რამდენი რამ გაუგონია ევროპაზე! რამდენი კიდევ წაუკითხია—ვინ მოსთვლის!

ი დალოცვილი პროპაგანდისტებიც სულ იმას ჩასჩიჩინებდნენ: აი, ევროპაში ესეთი თავისუფლებაა და ისეთიო.

პირველ მაისობასაც იქ აშკარათა ჰმართავენ:

დადიან წითელი დროშებით ქუჩაში, მღერიან, ყვირიან. არავინ უშლის ხელს. ყველაფერი ეს კანონიერია.

განსაკუთრებით საფრანგეთი იქცევდა მის ყურადღებას.

ეს არის ბუდე ყოველი რევოლიუციისა.

იქიდან უკიდებენ ცეცხლს ქვეყნიერების მყუდროებას.

იქიდან გასძახიან საერთაშორისო დევიზებს, რომელიც არყევს მთელ მსოფლიოს.

რუსეთში კი, ამ დაწყევლილ ნიკოლოზის რუსეთში დაიღალა ბიძინა.

მას ერთხელაც არ ენახავს რიგიანათ გაშლილი წითელი დროშა.

დემონსტრაციაზე ააფრიალებდნენ დროშას თუ არა, მაშინათვე მოსწყდებოდა მედროშე და გარბოდა წინ ქუდმოგლეჯილი.

წესიერათ ვერც კი მოავლებდა კაცი თვალს და უკვე გაჭრა სადღაცა წითელი დროშა.

—

ძალიან ენატრებოდა ბიძინას, ერთხელ მაინც ენახა თავისუფლად გაშლილი წითელი დროშა.

ამას რუსეთში ვერ ეღირსა.

ამას თუ ჰნახავს მხოლოდ ევროპაში.

განსაკუთრებით კი საფრანგეთში, რომლის სახელიც ყველას წარმოდგენაში რევოლიუციასთან არის დაკავშირებული.

ეხ! რამდენი წაუკითხავს ამ საფრანგეთის რევოლიუციებზე

რამდენი უფიქრია!

რამდენჯერ უნატრია იქ ყოფნა!

ერთხელ, ერთხელ მაინც ამოისუნთქოს თავისუფლად რევოლიუციის სატახტო ქალაქ—პარიზში.

ამხ. ცროცკი აღლუმზე.

იქ მაინც ეღირსოს იალაღად შეფრიალებულ წითელ დროშას და შემდეგ თუნდა წუთისოფელსაც გამოესალმოს.

—

ჩაუვარდა გულში საწყალ ბიძინას საფრანგეთისკენ განავარდება.

მის ჯეელობაც ნულარ ყოფილა,—თუ ეს ჟინი ვერ შეასრულა.

დედამიწის ზურგზე კაცს მოენატროს ადგილის შიცვლა და ვერ მოახერხოს!

ამაზედ ტეტი დაძაბუნება რაღა იქნება!

გადასწყვიტა ბიძინამ გულით და შეასრულა კიდეც

ერთ მშვენიერ დღეს გამოემშვიდობა ამხანაგებს და ნამალევათ გაუდგა ევროპის გზას.

—

რამდენიმე დღის მოგზაურობის შემდეგ როგორც იქნა გადასცდა რუსეთის საზღვარს.

მას წაკითხული ჰქონდა: როცა ჟან-ჟაკ რუსო გადასცილდა ძველი საფრანგეთის საზღვარს, როგორ დაემხო შვეიცარიის მიწაზე და სიხარულით დაუწყო კოცნა.

ბიძინასაც უნდოდა ან დამხობილიყო გერმანიის მიწაზე და ემთხვია რუსოსავით ან გადაჰხვეოდა პირველ გერმანელ ჯანდარს და ეკოცნა, ნიშნად თავისუფლებისა, ნიშნად თვითმპყრობლობიდან დახსნისა.

მაგრამ თავი მაინც შეიმაგრა, თვითონაც არ იცის როგორ.

მიჰქრის ბიძინა ქვეყნიდან ქვეყანაზე, სამზღვრიდან სამზღვარზე.

მისი გული სცემს რევოლიუციის გულ—პარიზისკენ.

და აჰა, მიაღწია კიდეც!

გადმოხტა თუ არა მატარებლიდან, ეხლა ამოისუნთქა ძლივს თავისუფლად, თითქოს არხანგელსკიდან აქამომდე ფეხით მოსულიყვესო.

ეს იყო ოცდა ათ აპრილს.

მეორე დღეს კი პირველი მაისია.

მხოლოდ ამ ანგარიშით არ გაჩერდა ბიძინა არც გერმანიაში, არც ბელგიაში.

იმას ინატრებოდა, პირველათვე პარიზში ენახა პირველი მაისობა.

აჰა, მოუსწრო კიდეც!

ბედნიერია ბიძინა, ბედნიერი!

—

როგორც შეჰფერის უცხოთ გასულ კაცს, პირველყოვლისა მოსძებნა თავისი თანამემამულე.

ფრანგულისა ჯერ „ინჩიც“ არ გაეგება „მერსისა“ და „პარდონის“ მეტი.

მეორე დღეს წააკითხა ამხანაგს გაზეთი და გაიგო, როგორც იქნა, რომ ამა და ამ ადგილას იქნება პირველი მაისობის დემონსტრაციაო.

აბა ბიჭო! ნახე, როგორ მიუხარია ეხლა ბიძინას ამ დემონსტრაციაზე.

ამდენი წლების ნატვრას ძლივს ეღირსა, კაცი, ხუმრობა ხომ არ არის!

ერთი ამხანაგიც გაიყოლა თანა და კითხვა-კითხვით მივიდა „კონკორეის“ მოედანზე.

ბიჭოს. აქ რა ყოჩაღები ყოფილან მუშები, ან რა კარგი ყოფილა მთავრობა, რომ ასეთ ლამაზ მოედანზე, შუაგულ ქალაქში. პირველ მაისის დღესასწაულს მართავენო!

ამხ. ცროცკი აღლუმზე.

მაგრამ პოლიციელებისა და ცხენოსან გვარდიელების სიმრავლემ კი ცოტა შეაფიქრიანა ჩვენი ბიძიაა.

თუმცა შეიძლება ეს საჭირო იყვეს საერთო წესის დასაცავად.

მუშები თბლად დადიან. ერთად ვერა გროვდებიან.

პოლიციელები კი დაინახავენ თუ არა სამი ოთხ კაცს ერთად, მაშინათვე ერეკებიან დასაშლელად.

ეე! ეს როგორღაც ვერ ეპაშნიკება ჩვენ ბიძინას, მაგრამ იმას ჯერ მაინც იჭეიც არ შესდის საფრანგეთის თავისუფლებაში.

სხვა და სხვა მხრიდან მოდის ბლომათ „შავი“ ხალხი. მაგრამ ერთ ადგილას ვერ ჩერდებიან, სულ დადიან და დადიან...

— ბუზანკალი ხომ არ შეუძვრათ ამ ხალხსა! რა ასეირნებთ ასე გამწარებით?!?.

— ალბათ ჯერ ადრეა. ბელადებს თუ ელიან!

ელის ბიძინა: ჰაი, ეხლა დაიწყება და ჰაი, ეხლაო!

თანაც მოსწონს გულში, ამოდენა პოლიცია რომ შეძრულა. სჩანს აქ ესეთ დიდ მნიშვნელობას აძლევდენ მუშათა დემონსტრაციებს.

აგერ, „ელისეს ველების“ კუთხეში ხალხი როგორღაც შეხორხიტდა. თითქოს წითელმა დროშამაც გაიელვა.

მთელი პოლიციელები და გვარდიელები იქით დაექანენ.

ბიძინამაც გაჰკურცხლა იქით.

უცებ გაჩნდა უშველებელი ორომ-ტრიალი.

ერთ მუჭა ხალხს დაერივნენ ეს ურიცხვი პოლიციელები და გააჩინეს ცემა-ტყეპა.

გვარდიელები ისე სულგამწარებით დააჭენებენ ცხენებს თითქოს გერმანიის ჯარი შემორეოდეს პარიზის გულსაო.

ბიძინას თავი გადაუტრიალდა. აებნა ერთმანეთში დრო, ადგილი. რუსეთი და საფრანგეთი ერთმანეთში გაითქვიფა.

ლამაზი წარმოდგენა და იმედ გაცრუება ერთმანეთს დაეჯახენ.

ეს რა ხდება?

აგერ ოთხ გადაცმულ აგენტს დაუჭერიათ ერთი პოლონელი რევოლიუციონერი. ორს, აქეთ-იქით უჭირავთ გაკავებული. მესამეს გრძელ ქერა თმებში წაუვლია ხელი და უკან გადაუწევია თავი. მეოთხე კი მისწდომია ყანყარატოში და აღრჩობს იმ საწყალ კაცს.

ბიძინას ცეცხლი წაკიდა. ქვეყანა უკუღმა გადაუტრიალდა.

— თქვენი დედა და რჯული კი არ იყოსო! და ეძგერა გაფთრებული დათვივით.

ამ აგენტს, რომელიც ყელში უჭერდა, ერთი ისეთი შემოსცხო სულ გამწარებით, რომ თავბრუ დახვეული იქაე წააქცია. ახლა სხვებს ეძგერა და გააშვებინა კიდეც ის უბედური კაცი.

ბავრამ აქ იგრძნო, რომ იმის თავზე სცვივა მძიმე ლოდები..

— ნეტავ სადა ვარ, რა ხალხშიო!

ეს კი გაიფიქრა ბიძინამ და მეტიც აღარ ახსოვს.

ორი დღის შემდეგ წევს ბიძინა ამხანაგის ოთახში. თავპირ დალურჯებული, გვერდებ დაქექილი.

მაგრამ ეს არაფერია.

გულგატეხილი და რწმენა განადგურებულიც.

წევს და თან სულგამწარებით იგინება:

— ეს არის თქვენი თავისუფალი საფრანგეთი!

— ეს არის თქვენი რევოლიუციონური პარიზი!

— ეს არის თქვენი ნებადართული მაისობა!

— რატომ ფეხი არ მომტყდა, როცა მე აქ მატარებლიდან გადმოვედი.

— აფსუს, ჩემო ოხერო თავო!

— საფრანგეთის მონატრულო თავო!

— პარიზის გულში გატეხილო თავო!...

ლეონარდო.



ქალაქის სიხარული

(მოთხრობა)

ტყვიისფერ ნისლში გახვეულია ქალაქის განიერი ქუჩები.

ღამე — უმთვარო.

პირქუში — ღამე.

ცარიელ კოლოფებივით ყრია მრავალ-სართულიანი სახლები.

ირგვლივ ჩოჩქოლი.

რკინის ბოძები აპრელებულია ელექტრონის ჭაღებით.

მოქალაქე დინჯათ მიდის და ფრანგულ სიგარეტებს ერთი-მეორეზე აბოლებს. ტვინში ლოკოკინასავით უძვრება მკბენარი ფიქრები.

ოცნება — არ ასვენებს: —

— როგორ შეიძლება ისტორიის მოგება?..

ის უკვე განწირულია.

ჰაერს ამძიმებს კატასტროფის მხრჩოლავი გაზი.

ხვალ შეიძლება ყველაფერი ყირაზე დადგეს დაიკარგოს ყოველგვარი იმედები.

ხვალ აი, აქ...

ამ მოედანზე შეიძლება აიმართოს ეშაფოტი.

მერე?!. ო, საშინელებავ!..

ხვალ ამ კვარტალებს შემოესევა ურდო. გამხეცებული ბრბო.

მოხდება შურის ძიება.

მრისხანე ხალხის ტალღებს ვერ შეაჩერებს ბარიკადები!..

არ არის ხსნა.

ო, არა... აი, აფიშებს შორის: **ბრძანება!?** ეს, რკინის კანონის ძლიერი ბრძანებაა. მეფის ტახტი ჯერ კიდევ მძლავრია. მისი საძირკველი შეურყეველია.

მინისტრები იმუშავებენ ახალ გეგმებს. ადგენენ ახალ რუქას...

სამშობლოს დაცვის დროშის ქვეშ — ფართოვდება რუქა.

ძლიერია მეფეც.

ისევ მე ოქრო. მეფე. მინისტრები.

ჩვენ ვქნენით ისტორიას. ჩვენივე დავრჩებით ოქროს ქარვასლების ბატონ-პატრონი.

ჩვენ. ისევ ჩვენ. სხვა ფიქრი შეუძლებელია.

საშინელ მოჩვენებებს დაესვა იმედიანი წერტილი.

— ნაბიჯი მტკიცე. შეურყეველი. ტანკები. ჰაერლოპანები. დრედნოუტები. ჯავშნოსანი. დირიჟაბლები. ყველაფერი ხელთა გვაქვს.

არ არის — შიში.

უნდა აილაგმოს ყოველი მოღალატე. ცეცხლი, მახვილი — ყველას.

დამშვიდებული მოქალაქე შედის „Cafe Sa-on“-ში.

უნდა საუკუნოთ დაივიწყოს ოხერი ფიქრები — რომლებიც შხამიან გველით ძვრებიან გრძნობის ყველა ფარულ კუნჭულებში.

წუთით მის თვალ წინ გაიელვებს: მეფე... ოქრო... სიმდიდრე აურაცხელი. უზარმაზარი ქარხნებში. ახალშენობის მონები.

— ქეიფი ქეიფი — მხოლოდ. ტიტველი ქალები. თეთრი დარბაზები. ძლიერი მეფე. უფამოკრილი ჯარი, — გაიფიქრა კიდევ და წყალქვეშა ნავივით შესრიალდა განცხრომის ფაფარაყრილ ტალღებში.

ყოველივე მიყურდა.

შუაღამე გადაირეკა. აღარ ხმაურობს ქუჩები.

ყოველივე მიიჩქმალა.

მხოლოდ ქვაფენილებზე გადადიან ბარბაცით მთვრალი მოქალაქენი. პოლიციელები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს გამლელთ.

— ყველაფერი რიგზეა. სიწყნარეა ყველგან, ფიქრობს მშვიდობიანობის დამცველი.

იქ — კი... ქალაქის ბნელ სარდაფებში „**შავი ხალხი**“ ადგენს ახალ გეგმებს.

ლაპარაკობენ ხვალინდელ დღეზე.

— ხვალ — გადააწყვეტი დარტყმაა. ხვალ მოედანზე აცეცდება სისხლის ტალღები.

ქარხანა — სუნთქავს.

ისიც გულის ფანცქალით ელის განთიადს.

ნერვები დაჭიმულია.

ტემპერმენტი იწევს.

— **აჯანყება. აჯანყება,** — თითქოს იმეორებს მოტორი და აქეზებს მუშებს.

* * *

— შეუძლებელია მეტის მოთმენა. საუკუნეთა ზანტი ქარავნები აქ უნდა დაიხოცნენ. აქ უნდა დაედვას საზღვარი ყვლეფას. — იძახის ერთი.

— აქ უნდა გასკდეს ნაპრალი. ცეცხლიურ სიმძაფრით.

მხოლოდ ცეცხლით შეიძლება დაიწეროს ახალი ისტორიის ფურცლები, — ამბობს მეორე.

— ხვალ — როგორც ერთი კაცი, ქუჩისაკენ ყველა, — ფიქრობს მესამე.

— შრაპნელები, ყუმბარები თეთრ დარბაზებს, — იყო საერთო აზრი.

ნელი ტაში ფარავს სარდაფის ყრუ მოწოდებას, რომელიც მიწის ქვედა ფენებს მიყვება ურყევ ბრძანებით.

აქ არის სათავე ვულკანის.

აქედან დაიწყება წარღვნის პროცესია.

— უარი ბებერ მსოფლიოს. ძირს მეფე. ისტორიას-ცეცხლი, წინ მტკიცე ნაბიჯებით. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!..

დევიზი მზათ არის.

დევიზი სწორია.

მიწა იფეთქებს.

ხვალ... ხვალ... ხვალ...

ემზადება სარდაფი.

ქოხებიც.

ცნობა ყველგან.

ხვალ გამოვლენ ასპარეზზე ყველა ფალავნები.

პლეადა — მწყობრად.

ასე ფიქრობენ ყველგან.

მიზანი — ერთია.

— ქუჩამ უნდა დაუდვას საზღვარი ისტორიის ქარტეხილს.

— ბარიკადები. ეშაფოტები. პაროლი ყველას,—გეგმა მზათ არის.

პირველი მაისით იწყება საბედისწერო შეტევა.

დილაა.

მზის მხურვალე სხივები ელექტრონის მაგთულებივით დაეშვა მიწაზე. მზეს თითქოს ჩუმი საუბარი გაუმართავს მიწასთან.

ირგვლივ—სიჩუმეა.

დაურღვეველი—მყუდროება.

ფუსფუსებს ქუჩა.

მოქალაქენი დინჯათ და მშვიდათ განაგრძობენ გზას.

ქალაქი თვალებს აბრიალებს.

ის კაცის მკვლელივით სდგას. მან იცის. იცის ყველაფერი საიდუმლებით მთვრალია. მხოლოდ ქალაქმა იცის რაც უნდა მოხდეს.

კიდევ რამოდენიმე წუთი და... აი, უკვე დაიწყო.

— შრრრრ. დუმ... დუუმ... დუუუმ... ბუუუ... ბაცცც... ტრრრ...

ახმაურდა ქალაქის განაპირა უბნები.

— უუუუ,—აიწყვიტა ქარხნებმა.

რამოდენიმე წუთით შეტივა.

დამფრთხალი მოქალაქენი გარბიან: ვირთხებივით იმალებიან ღიპები სასახლეებში.

დაცარიელდა ქუჩა.

მხოლოდ ჯარი და პოლიცია.

ჯავშნიანი ავტომობილები შიშით გარბიან.

ასპარეზი გაშლილია.

ფალავნები გამოჩნდნენ.

შეტაკება: ყალყზე დგება რაზმი.

ხოცვა-ჟლეტა—შეუწყნარებელი.

რიზინის ბურთივით გორაობენ თავები ქვაფენილებზე.

ყიჟინა—ცეცხლის.

მახვილი მკერდში.

შურის ძიება—სასტიკი...

ზვიადობს შმაგი ქალაქი...

* * *

მეფე მრისხანებს სასახლეში.

მინისტრები განაგრძობენ გეგმებს.

ამაოა ყოველივე.

ყოველივე დაინგრა.

ეშაფოტებზე აქვთ მსუქანი ღიპები.

ცეცხლის ტალღები გადარეცხეს მიწის შხამიან ზედაპირს.

თეთრი სასახლები დაინგრა.

სისხლით ღვარი ღებავს დანგრეულ მარმალილოს ბოძებს.

ნანგრევთა შორის დგას პირამიდა.

ცოცხალი პირამიდა თვალუწვდენ სივრცეში ატყორცნილი.

ყელმოღერებული მუშა სდგას მის მწვერვალზე. ხელში დროშით:

საბჭოთა შეერთებული კავშირი—აქეთკენ ყველა!

— **პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!..**

პ. ოდიშელი.

შენი ვარ, შენი ვიქნები!

(პირველ მაისისათვის)

ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, როდესაც გიხილე შენ.

შენმა ცეცხლის მფრქვეველმა თვალებმა მოგიხიბლა... მომაჯადოვა და, შეგიყვარე... შეგიყვარე, წრფელი, უანგარო სიყვარულით.

მაგრამ ხანმოკლე იყო ეს სიყვარული. შურით აღვსილმა ქვეყანამ ვერ დააფასა შენი სიდიადე, შენს სხივთა ფრქვევას ვერ გაუმაგრა თვალები შავმა დემონმა და გასვრილი, სისხლიანი ხელებით დაგიპრო... დაგადუმა...

გაგვცილდი მშვენიერო, ვით აჩრდილი—გაგვცილდი, შენს წასვლასთან ერთად დაცარიელდა შენგნით მოხიბლული გულიც.

...ზე ძალა სიყვარულის კვლავ აბობოქრდა. კვლავ შენ გეძებდი და შენს ძებნაში მიდიოდა უფერული დღეები, თვეები და შენ კი არსად სჩანდი...

ისმოდა მხოლოდ შავს სარდაფებიდან ჩაგრულთა ხმა სევდიანი: კვნესა, გოდება. და ჰაერში ავსულთ ფრთათა შრიალი...

მას აქეთ გავიდა წლები.

ბუნებაც თანდათანობით გამკაცრდა.

შავი კუპრის ღრუბლები ხლახნით მიიკლაკნებოდა, ცის ლურჯ ტატნობზე, თითქოს ერთად შეეკუჭების შემდეგ მოწყვეტას ლამობს რომ დაეცეს ძირს დედამიწას და მით ჯოჯოხეთს მისცეს ისედაც ტანჯული ქვეყანა...

გავარდა მეხი... და ცეცხლის ენებმა შეარყია ცოდვილი ქვეყანა.

გაჩაღდა ბრძოლა... ბრძოლა გადამწყვეტი.

ცა თანდათანობით მხიარულობდა... კიდევ უკანასკნელი შეტევა და ქვეყანას ცეცხლი დაუსაკუთრა..

შეწყდა ყოველივე.

გადამწვარ მიდამოზე აქა იქ იდგა ტოტებ დამტვრეული მუხები...

ყვავილებს რომელნიც გადარჩენოდენ საშინელ ცეცხლს, ამაყურად აეცქვიტათ მაღლა თვალები და ხხიარული კისკასით შესთამაშებდენ მოკაშკაშე მზის ციგა სხივებს.

დაჭრილი ვედგი მინდორზე. ვიძალე,—წამოვიწიე და დავინახე ნაცნობი თვალები.

თვალები, მოკაშკაშე.. ნეტარებით სავსე და იარათა გამკურნებელი..

ირგვლივ ყოველივე თაყვანსა სცემდა მას. ზოგი „მესსიას“ უწოდებდა, ზოგიც „ცეცხლის დედოფალს“ და ყველა ერთგულებას ეფიცებოდნ...

გამოვერკვიე. იმ თვალებში გიცანი შენ! ჩემო მშვენიერო!

შენგნით განკურნებული წამოვდექ ფეხზე, მოგიახლოვდი... წრფელი უანგარო სიყვარულით. გეამბორე სპეტაკს გულზე და შენოგფიცე: „**შენი ვარ შენი ვიქნები**“!

ონისიმე ქვიტირელი.

საპირველმაისო სიმღერა

ჩვენ ვმღეროდით, ბანს გვაძლევდა ზარბაზნების ქუქა, გრგვინვა,
ჩვენ ვმღეროდით და ჩვენს ხმებში ერთდებოდა დაჭრილთ გმინვა.
ჩვენ ვმღეროდით და ყორანი ჩვენის სისხლით გამაძღარი,
ჩვენ ძმათა ლეშსთ დაჰყურებდა, დაჰხაროდა საზიზღარი.
ჩვენ ვმღეროდით და ამ ფან ჩვენს მშარე ხვედრს დავსცინოდით,
სიკვდილს მღერით უხვდებოდით, ჩვენ ტირილი არ ვიცოდით.
დღესაც ვმღერით, ვმღერით მაგრამ არა ისე, როგორც წინათ,
დღეს სიხარულს გამეფებულს შემოვერტყით ლითონ-რკინად.
ჩვენ გაესეედეთ ჩვენი ბედი შრომის შვილნო ხიშტის წვერით,
და მიტომაც ვმხიარულობთ, გატაცებით მიტომ ვმღერით!
ვერ დაგვჩაგავის თავს ყორანი მშრომელთ მიერ დაგმობილი,
მომაკვდაობს, ძირს აგდია მკერდში ლახვარ გარჭობილი.
თუმცა კვლავაც ზარბაზნების ცივი ლულა გულს გვიკოდავს,
ომის ღმერთი ჯერ კიდევ მთლათ არ მომკვდარა, ისევ ბოდავს;—
მაგრამ ჩქარა დამარცხდება ბნელი საქმის, ბნელი სული,
და მის შემდეგ გამეფდება სიცოცხლე და სიყვარული.
ზნისა შუქი ყველგან სწვდება ალხობს, აშთობს დამწარ გულებს,
ვაშა, ვაშა ყველა ჩაგრულს, და მათ ბრძოლის ხალისს ულევს!..

ეპ. ცინცაძე.

ჩვენი მაისი

ფრთა გაშალა მაისმა
და ყველგან ხმა გაისმა,
რაც, რომ აწმყომ ვერ შესძლოს,
უნდა მოგვცეს გაისმა.

ძლიერი ხმა მუშების
მიწის გულშიც ჩაისმა,
და ეს ხმა სხივ-მფინარე
ვერ დაჩრდილოს დაისმა.

მუშავ, დღეს ნადიმი გაქვს
დასტკბე, უნდა იხარო,
და მტარვალის წინაშე
ქედი არ მოიხარო.

შენია ეს ქვეყანა,
ოქტომბერი, მაისი,
და გულს იკლავ ხვაშიადს
სახე მშვიდი აისით.

გ. შინატეხელი.

ჩემი დილა

(პირველ მაისს)

ქარხნების მილებმა დაიწყო ორთქლით ღაღადი. ეს ყოველ დღიური მოწოდებაა. მათ მოწოდებაში შემდეგი სიტყვებია ამოქარგული: „ამხანაგებო, მუშებო, დროა-გამოიღვიძოთ!

ეს დინამური სიტყვები რადიო-ელექტროს ტალღებივით იპყრობს მიდამოებს. ყველგან ყოველ ოთახებში შეძვრება და ზარების წკრიალივით რეკს ყოველ მუშის ყურში.

— დროა გამოიღვიძო!—გაიძახის საყვირი. ჩვენი გიორგიც უკვე ფეხზე სდგას უცებ. ჩაიცვამს თავის ნახშირით გაშეურულ შარვალს და ფეხსაცმელს, პერანგის ამარა მივარდება პირსაბანთან და ცივ წყალს პირის სახეზე შეიშხაპუნებს.

— ახალგაზრდული ცხოველ მყოფელობაა ჩამარხული ამ წყალში. ძალა-ენერგია გემატება, თვალებს სიცოცხლე დაეტყობა და ძილის „ბაცილები“, თითქო დაშინებულნი, დაგშორდებიან.

აი ეხლა, თავის ღარიბულად მორთულ, სუფთა ოთახში. საუზმეს შეეკვეცა გიორგი.

ქარხნების ეზოდან გაისმა კვლავ განმეორებული საყვირთა მოწოდება. გიორგი ნახშირით გაეურულ ტანისამოსში, კვლავ აჩქარებულ ნაბიჯით სახელოსნოსკენ მიეშურება.

ტრამვაი აგერ თავის ხმაურით ქუჩას ძილს უფრთხობს. აგერ სპეკელიანტი თავის „ძველ ნივთებს“ დეზერტირის ბაზრისკენ მიათრევს, რომ იქ პირველად „მაჯადოვოს“ მუშტრები. დარბაზებს სძინავთ. ელექტრონის სანთლებს სიმკრთალე ეტყობა, სჩანს ახლოა მზე..

გიორგის, ქარხნისაკენ მიეჩქარება. აგერ გამოჩნდა სადგური. მთავარ სახელოსნოკ ახლოსაა. მიდი-მოდიან მუშები თავიანთ ქარხნებისკენ. დღიურ საზრდოს აგროვებენ ტვირთ გადამზიდავი მუშები...

— მე კი ჩემს მანქანებს ავამუსიკებ... მე ხომ ქარხნის დირიჟორი ვარ, და მერე რა გორი, გენიალური. ჯერ ვერც ერთმა კომპოზიტორმა ვერ შესძლო ჩემი მანქანების დინამიური ხარხარი, მიუწდომელი, მომჯადოებელი მუსიკა თავის ნოტებზე გადაეღო. მე კი ვდირიჟორობ და მუსიკობენ მანქანების ყოველი ნაწილები...

ბზის ამოსვლას ყველაზე უწინ მიეგებება, და ეტყვის სალამს, ჩემი ამონასუნთქვი ქულული ღრუბლების ქარავანები. მასში მზის სხივები ვერცხლისებრ აელვარდებიან.

ბურჟუას ჯერ სძინავს. ბზის ბასრი სხივთ კონა ჯერ აო შეჭრილა მის ოთახის ფანჯარაში ცხოველმყოფელი ბრძანებით.

— სულ სხვაა ჩემი დილა!

შვენიერია ჩემი დილა!

აგერ ჰა, შევდგი ფეხი პთავარ სახელოსნოში. მაზუთი ხომ მანქანების დაუფასებელი საყვარელი საზრდოა...

ავამოქმედებ ბორბლებს ღვედების ქარული გაქანებით... დინამიური ხარხარი... ჰო, რა მუსიკა გამეფდება ჩემს საგფლობელოში!!.

— ჯერ დილაა... ადრიან დილა.

აი, სახელოსნოში შეხედეთ ჩემს ყელს, ჩემი ამონასუნთქვი, ქულული ღრუბლები ბზის სხივებს ენით, ტრფობით დაუწყებს კოცნას!

წამომყევით! წამომყევით!

— დიდხანს, დიდხანს ჩემო კარგო! ჩვენ მრავალ ასეულ თაობის წინაშე იბრწყინვალებს **ლენინი**, როგორც მთელი ქვეყნის პუმბერაზი, მაშვრალთა დიდი იმედათ და მტარვალთა სიტყვა-ქუხილად... და ეხლა დავიძინოთ? დიდი ხანია ვსაუბრობთ თითქო ყველაფერი გარშემო დაგვავიწყდა. შენ მაინც კითხვებს მისვამ! კმარა—შემდეგისათვის გადავდვათ. ხომ ხედავ აგერ საათის პირველმა დაკრა და მოსვენების დრო ცოტაღა რჩება... მერე კიდევ მუშური დილა, პოეტური დილა! ამეტყველდებიან საყვირები და...

აქ შესწყვიტა საუბარი გიორგიმ თავის ამხანაგ მაროსთან, რომელნიც ქარხანაშ სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ასე ბეჯითად დიდხანს საუბრობდნენ.

დაიძინეს. მარომ ელექტრონი ჩააქრო.

— სიზმარია, თუ სინამდვილე!—დაილაპარაკა ძილში გიორგიმ,—არა სინამდვილეა!—განაგრძნო იმან,—აგერ ქარხანა, მე ქარხანაში ვარ... ეხლა ხომ სდუმდა კედლები. მაგრამ ჰა ავამოქმედე ღვედებით ბოდბლები და დინამიურ ხარხარმა ქარხნის კედლები გაარღვია. მანქანის ყოველი ნაწილები მღერიან, მღერიან სულ სხვა ენაზე... აბა რომელი გუნდი შეასრულებს ამ სიმღერას? და ვით სამყარო უსაზღვროა, უსაზღვროა ამ მანქანების შემოქმედება...

დახეთ! ეს სინამდვილეა, სიზმარი. ნუ გგონიათ! ხედავთ, კოსმოსის კონუსის წვერიდან ისმის ყვირილი: წამომყევით! წამომყევით! ეს ლენინის მხურვალე სიტყვებია...

და ქშინავს ქარხანა... უზარმაზარია ეს ქარხანა. თან ყვირიან საყვირები, იმეორებდენ ბუმბერაზ ტრიბუნის სიტყვებს: წამომყევით! წამომყევით!..

ჩვენ მივდივართ. ხედავთ! მოდის მასსა ურიცხვი... ქარხანავ წინ! შენ მოგყვება დედამიწის ყოველი კუთხიდან მაშვრალთ ჯარები—ურიცხვია ეს ჯარები, როგორც ურიცხვია ზღვაში წვეთები...

მზე ციმციმებს, კაშკაშებს... მზე გვიზიდავს ჩვენ...

ჰო ბედნიერი ვარ. მე ხომ ამ უზარმაზარ ქარხანაში ვიმყოფები. აქაა ჩემი დედა... მე მანქანების კომპოზიტორი ვარ,ჩემი შემოქმედების შედეგია: მანქანების უბირო, უსაზღვრო ხმაური... და მე დირიჟორი ვიმეორებ გმირის სიტყვებს: მისმინეთ! წამომყევით! წამომყევით!

ჰო ბედნიერი ვარ მაშვრალთ ჯარებო! თქვენ მოდიხართ, გესმის ჩვენი!..

შენ უზარმაზარო მანქანავ გასწი! გასწი! თქვენ საყვირებო, ამეტყველდით, ამეტყველდით! ჩვენ მოვდივართ...

მიქრის მანქანა.. მზე ჩვენ გვიზიდავს აღთქმულ ქვეყნიდან.

ქარხნის ღრუბლები ქულულ რგოლებით ცამდი აზიდულან..

სუ! ბრძანება ისმის!

ფრთხილ სიჩქარით წინ! წინ! წინ! ამეტყველდით! ამეტყველდით! საყვირებო! დეე, დედამიწამ იგრძნოს და შეითვისოს შენი ყვირილი ოფლის უძირო წიაღიდან აღმონახეთქი...

და ჰა... ჰა... ჰა... ჰა მოვედით.. მოვედით აღთქმულ სამეფოში! ო, გულო ჩემო, რა რიგ მშვენიერ ყოფილა აღთქმის სამეფო! ო, ლამის სიხარულისგან დავდნე, მოშიღოცავს ხალხნო! ვაშა! ვაშა!..

რაც ძალი და ღონე შესწევს იყვირა გიორგიმ ეს უკანასკნელი სიტყვები და, გამოეღვიძა. უცებ შეჩერდა და განაგრძო:—არა, სინამდვილეა. აბა რათ მეტყველებენ ეს საყვირები? ეს საყვირები? ეს ხომ ქალაქის ზეიმია აღთქმის სამეფოში... მაგრამ სიზმარი... ფანტასტიური სიზმარი! გიორგი გარეთ გამოვიდა და მეორე სართულის აივნიდან იყურებოდა. ქალაქი ხელის გულივით მოსჩანდა და მართლა საყვირები მოუსვენრად მეტყველებდნენ.

გიორგის სახიდან აღტაცების ბინდი გამოკრთოდა.

— ოხ, ოცნებავ, დღეს ასეთი სიზმარი ხარ, მაგრამ მალე, მალე იქცევი შენ სინამდვილეთ!

ეს სთქვა და გაეშურა იქ, სადაც საყვირები ასეთ მდუღარე მოწოდებას იმეორებდნენ რადიო ტალღების ასოებით და ქალაქს ეპატიჟებოდა:—წამომყევით! წამომყევით!!!

ფ. ნაროუშვილი.



მაისის გზაზე

ალესილ ხმლების აპრიალება
და აელვება მზის სინათლეზე,
შავის წარსულის განაპიალება
და გადაჩეხა აღსავლის კლდეზე.

ბრძოლის საყვირთა აზანზარება,
ძლევამოსილი გუგუნი მარშის,
ბედის მიჯნაზე გადატარება
ფაფარაყრილი წითელი რაშის...

უსაზღვრო სრბოლა და გაქანება
გამიზნულ სხივთა კორიანტელში,
მხედართ რიგს-რიგი რომ ეტანება
წითელ დროშებით ამაყად ხელში!..

ტყე რომ თავს უხრის და ყვავილები
ფეხთ ეგებიან, ვით ფიანდაზა,
გაჩნდნენ „მამების მჯობნი შვილები“!
ახდა „მამულზე“ ძველი ანდაზა?..

თვით „მამული“ კი ისე გადიდდა,
ისევ გაიესო, გამშვენიერდა,
რომ თვალთ ატყვევებს ყოველ განიდგან
შიგ სრა-სასახლე ყოველთა ერთა.

ის სდგას ამაყად და ქედმოხდენით,
რომ იტევს ამდენს მომავალ რიგებს,
და თითქოს ბჭობენ აქ ერთის ენით,
და ერთის სიტყვას სუფველა იგებს...

აქ ეს თანხმობა, ჰარმონიული..
იქ კი ალესილ ხმლების პრიალი...
ახ, რა რიგ ახდა ისტორიული
კაცობრიობის ბედის ტრიალი!..

ნ. ზომლეთელი.

◎ ბურჟუეზი ჯოჯოხეთში, ანუ ჯოჯოხეთის ტრესტი ◎

ორ მოქმედებიანი ოცნებური ოხუნჯობა დიმიტრი დოლევისა.

მოქმედი პირნი:

ბელზებელი, ეშმაკების მეფე. დინჯი, მრისხანე, მაგრამ ბრიყვი.

მეფისტოფელი, ჯოჯოხეთის საქმების გამგე, დედამიწაზე ცნობილი ოპერა „ფაუსტში“

მდივანი, ახალგაზრდა ეშმაკი, გაქლესილი, მლიქვნელი.

ალქაჯა, კუდიანი დედაბერი, მახინჯი, ცხვირნიკაპ წავარდნილი.

ბუშტაძე. ყოფილი ბანკირი, მეტათ ჩასუქებული.

შვიდმუცელაძე, ვაჭარი, მიკიტანი, გრძელწვერა, მსუქანი.

ბირუეკიკი, შუა ხნის, მოძრავი, ჩასუქებული.

ბარონესა, ხნეს გადასული, ფერ-უმარილ შეცხებული.

მღვდელი.

ეშმაკები.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა 1.

(ბელზებელის კანცელარია).

მეფისტოფელი. (მდივანს). ბევრი ცოდვილები მოვიდენ გუშინ დედამიწიდან?

მდივანი. ბევრი!

მეფისტოფელი. სად ჯანდაბაში მოვათავსოთ მერე ამდენი ხალხი? ყველა ქვაბები და ტაფები დაკავებულია! ჯერ არას დროს არ ყოფილა ჯოჯოხეთი ასეთი სავსე! ხომ არ გადავგზავნოთ ნაწილი სამოთხეში?

მდივანი. ეგ ძალიან კარგი აზრი მოგვიდათ თქვენ თავში. სამოთხეში თავისუფლება უნდა იყოს. თუმცა ამბობენ, რომ ამ ბოლო ხანებში ბევრი ცოდვილი ბურჟუების სულები გაძვრენ იქაც სხვა და სხვა პროტექციების საშვალებითო.

მეფისტოფელი. მოდი ერთი მოველაპარაკები სამოთხის საქმების გამგეს (იღებს ხელში ტელეფონის მილს). ალლო! სადგური? მომეცით ცამეტი ორი ნული. გმადლობთ! ალლო! საიდან ლაპარაკობენ? სამოთხიდან? სთხოვეთ, გეთაყვა, საქმების გამგე მიქელ-გაბრიელს. თითონ თქვენა ხართ! გამარჯობათ! მიცანით?! როგორ ცხოვრობთ? ცუდათ? რა დაგეშართათ,-გაცივდით თუ ბუასილმა გაგიხსენათ ისევ? რაო? ახალგაზდათა კომკავშირები? ხოო! ეს ყველა აკეთმყოფობაზე უარესია! მე ვითხრეს, რომ მათ გადაუწყვეტიათ თქვენი სამოთხის გაუქმება. ჩვენც გველის ჯოჯოხეთიდან გამოსაა ლება და უძუშევრობა, მარა რა გაეწყობა ჯერჯერობით კი თქვენთან ერთი სათხოვარი საქმე მაქვს: ხომ არ შეგიძლიათ, მეგობარო, რამდენიმე ცოდვილებს ჯოჯოხეთიდან თავშესაფარი მისცეთ საძოთხეში? წარმოიდგინეთ, ისეთი სივიწროვე გვაქვს, რომ მოფხანაც კი არ შეიძლება! როგორ? უხერხულია ცოდვილების სამოთხეში მოთავსება? თავი დაანებეთ ერთი მასეთ ხუმრობას! თქვენთან ისეთმა უცოდვილებმა მოიკალათეს, რომ ჩვენ ცოდვილებს არაფრით ჩამორჩებიან! მაგალითად, ვინ? აი, თუ-გინდ: ნიკოლოზ რომანოვი თავისი ცოლითო გრიშკა რასპუტინი, პურიშკევიჩი და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი! რაო? არ შეიძლება? კარგი მაშ, გაგიხსნებ მაგას ოდესმე, ძველო ტყაბუჩავ! (გაჯავრებული მიაგდებს ტელეფონის მილს).

მდივანი. უარი თქვეს? იმათგან ხეირი სხომის როდის გამოსულა? პირიქით თითონ აწაპნავენ, თუ კი რამე ნახეს ცუდათ დადებული. მაშ რა უყოთ ამდენ ცოდვილებს? გუშინ ერთი წყება მოვიდა, ალბათ დღესაც მოვლენ.. (გარედან ისმის ხმა: „სად არის აქ დროებით ჩამოსახტომი სასტუმრო?“). აი, ვიღაცა უკვე მოვიდა! ნეტავი რას ცდილობენ ჩვენი გამოყეყეჩებული ეშმაკები დედამიწაზე ასე ერთგულათ? სულ ერთია, დღესასწაულებზე საჩუქარს მაინც ვერ მიიღებენ,—ფულის ნიშნები არ გვყოფნის!

(შემოდის **ბუშტაძე** ჩემოდანით ხელში).

ბუშტაძე. სალამი თქვენდამი! აქ იღებენ აღრიცხვაზე ახალმოსულებს? მეტათ სასიამოვნოა! ნება მიბოძეთ გაგეცნოთ: მიხეილ ბუშტაძე. ყოფილი ბანკირი. შეიძლება დავჯდე? (ჯდება). ოხ, როგორ დავიღალეო, „რომ იცოდეთ. რანაირი გზაა, ეშმაკმა დასწყევლოს!. უკაცრავათ, ჩვეულებისამებრ წამომცდა.

მეფისტოფელი. ნუ ბოდიშობთ, არაფერია. იყავით ისე, როგორც თქვენს სახლში!

ბუშტაძე. გმადლობთ! თქვენი სახე რაღაც მეცნაურება, თითქოს მინახავხართ კიდევაც რამდენჯერმე. ა—ა! ოპერაში! თქვენ მეფისტოფელი უნდა იყოთ, მგონი?

მეფისტოფელი. სწორეთ ის გახლავართ!

ბუშტაძე. ძლიერ მოხარული ვარ თქვენი ნახვის! ცოტა მოხუცებულხართ! სიგარას ხომ არ ინებებთ? საუცხოოა, საზღვარ გარეთელი!

მეფოსტოფელი. გმადლობთ. ეხლა მოვსწევ „ძაღლის კუდი“. დიდი ხანია, რაც გადაიცვალეთ?

ბუშტაძე. სწორეთ ოთხი დღეა, რაც დამბლა დამეცა უსიამოვნებისაგან: მსხვილ სპეკულიაციაზე წავიკარი ფეხი! მინდოდა სამოთხეში შევმძვრალიყავი,—ნაცნობობა და პროტექცია კარგი მაქვს, მაგრამ გადავფიქრე. ახალგაზდათა კომკავშირმა დამაშინა. ღვთის სამყაროზე მათ იერიში მოაქვთ. ეს თქვენ გეცოდინებათ?

მეფისტოფელი. როგორ არა, როგორ არა! ეს იყო, ამ წუთში სამოთხის ერთ ბებერთან მქონდა ამ საგანზე ტელეფონით მუსაიფი.

ბუშტაძე. ამიტომაც მე თქვენთან, ჯოჯოხეთში ვამჯობინე მოსვლა. მით უმეტეს, რომ მე ერთი კომბინაცია მაქვს აზრათ.

თანაც სიკვდილის დროს ერთმა ეშმაკმა მტაცა ხელი და წამომიგდო ზურგზე. ისეთი მოხუცებული იყო, რომ ძლივს მომათრევდა ოხვრა ხვნეშით. ყველა ნაბიჯზე ისვენებდა მთვარეს როცა მიუახლოვდით, კინაღამ გადამაგდო. წარმომიდგენია, როგორ გავადენდი ტყაპანს ამოდენა სიმაღლიდან, ეშმაკმა არ იცის... ოხ, კიდევ ეშმაკი! აი, რას ნიშნავს ჩვეულება!

(შემოდის **შვიდმუცელაძე,** ბოხჩებით ხელში).

შვიდმუცელაძე. აქ არის ეშმაკების კანცელარია?

მდივანი. აქ გახლავთ!

შვიდმუცელაძე. მადლობა ღმერთს, ძლივს მოვაგენი! ერთი საათია, რაც ახალგამოშვებულ ხბოსავით დავრბივარ ჯოჯოხეთში და ვერაფერს გავხდი.

მდივანი. ბევრი ცოდვილები მოგვაწყდენ ერთბაშათ და მოსამსახურეთა შტატი კი შემცირებული გვყავს, ვერ უთავდებიან საქმეებს.

შვიდმუცელაძე. მისი აღმატებულება, მთავარ ეშმაკი სად იმყოფება?

მდივანი. თავის სამეცადინო კაბინეთშია, აი, აქ!

შვიდმუცელაძე. მოახსენეთ, ყმაწვილო, რომ შვიდმუცელაძე გეახლათ თქო, ვაჭარი, მიკიტანი კიდევ. სურს საქმეზე მოლაპარაკება თქო.

მდივანი. რიგს გარეშე ვერ მიგიღებთ მათი ჯოჯოხეთური უდიდებულესობა.

შვიდმუცელაძე. დაბეთ ერთი და! აქაც რიგები არ ყოფილა! სინჯე მაინც, გეთაყვა, მოახსენე, იქნებ მიმიღოს. მე მასთან სარეკომენდაციო წერილი მაქვს ერთი არქიეელისაგან. აი, გადაეცი ეს ბარათი. გასამრჯელოთ მიირთვი ეს ტომსიკა შაქარი. ვიცი, რომ ეშმაკებს ტკბილეულობა ძალიან გიყვართ!

მეფისტოფელი (მრისხანეთ), ეს რა არის, ქრთამი? მაგნაირი მიწიური ჩვეულებები მოიშალეთ აქ! „ქრთამი ჯოჯოხეთშიდაც კი არისო“, რომ ლაპარაკობენ დედამიწაზე, ეს სიმართლეს მოკლებულია! (მდივანს). გადაეცი ბარათი მის უდიდებულესობას. შაქარი კი... პირველათ და უკანასკნელად იყოს მხოლოდ; გესმის!

მდივანი მესმის, თქვენო აღმატებულებავ! (გადის მდივანი).

მეფისტოფელი. აი რა, ვაუბატონებო! მოიცადეთ თქვენ აქ ერთ წუთას, მე წავალ და განკარგულებას მოვახდენ, რათა ტაფათ გამგემ მოამზადოს ყველაფერი თქვენდა შესახრაკათ.

ბუშტაძე. ვაიმე, ეს რა მესმის?!

შვიდმუცელაძე. შესახრაკავათ?! როგორ, თქვენო ჯოჯოხეთურო აღმატებულებავ! არ შეიძლება, რომ გაკვეთავისუფლოთ ამ უსიამოვნებისაგან? ნება მიბოძეთ მოგართვათ ერთი ბოთლი საუკეთესო ჭაჭის აოაკი. თქვენს მეუღლეს კი გადაეცით აი ეს კოლოფი, საგახგეოთ მისთვის დაიზადებული მარმალადი.

მეფისტოფელი. კიდევ ქოთაძი? ეე თქვენ აკი გითხარით, რომ აქ ქოთაძი არ გადის მეთქი?

შვიდმუცელაძე. რატომ ბრძანებთ მაგას, თქვენო აღმ-ტებულებავ! როგორ შეიძლება არ გადიოდეს! მარტო ჯამაგირი როგორ გეყოფათ? ჭაჭის არაყით რომ მოხუკებული ძარღვები გაათბოთ, ამით რა დაშავდება? ქალბატონსაც ალბათ ტკბილეულობა უყაოს?

მეფისტოფელი. კარგი, თქვენი ხათრისთვის მხოლოთ! მაგრამ პირველათ და უკანასკნელათ იქნება ეს? კარგი, გადავცემ და ვეტყვი. კეთილ ადამიანს რატომ არ უნდა გაუწიო სამსახური. (აპირებს წასვლას, მარა კარებში შეჩერდება, იტვიანათ). აქ თქვენო კეთილშობილებავ, ხომ არაფერს იმასიზბთ?..

ბუშტაძე და შვიდმუცელაძე. (ერთხმათ).

რასა ბრძანებთ მაგას, განა ვინ გგონივართ ჩვენ?!

მეფისტოფელი. მაშ კარგი, თუ არა და სულ ერთია, ტაფაზე შვიდ კანს და ახრაკავთ. (გადის).

შვიდმუცელაძე (ბუშტაძეს). პირველათ ვერც კი შეგამჩნიეთ მე თქვენ! ნება მიბოძეთ გაგიცნოთ: შვიდმუცელაძე, ვაჭარი,—ოთხი მაღაზია და სამი სამიკიტნო...

ბუშტაძე. ძლიერ სასიამოვნოა! ბუშტაძე, ყოფილი ბანკირი, ბოლოს საპონ-ქაფის ტრესტის და ჰაერ-კვამლის სინდიკატის თავმჯდომარე.

შვიდმუცელაძე. მეტისმეტათ სასიამოვნოა თქვენი გაცნობა ჩემთვის! დიდი ხანია ინებეთ მობრძანება?

ბუშტაძე. ცოტათი თქვენზე ადრე. შაბათს გადავიცვალე. უსიამოვნებისაგან დამბლა დამეცა. ერთ მსხვილ სპეკულიაციაზე წავიტეხე ფეხი.

შვიდმუცელაძე. სწორეთ იმავე დღეს, როდესაც მე გადავიცვალე! პარასკევს, მარხვის გამო, სოკოთი გავეძეხი ნამეტარი და შაბათს გავჭიმე ფეხები. როგორ იქნება ეხლა ჩვენი საქმე აქ?

ბუშტაძე. უნდა მოვიაზროთ რამე. მე ვფიქრობ, რომ აქ კარგათ შეიძლება მოეწყოს საქმის კაცი. მართალია, ეშმაკები ჯიუტი ხალხია, მარა მე მგონია, რომ ნელნელა შეიძლება მათი მოთურგვნა. ნახეთ, ქრთამი აიღეს ხომ?

შვიდმუცელიძე. რა კაგრი იქნებოდა აქ სამიკიტნოს გახსნა!

ბუშტაძე მე კი უფრო სერიოზული გეგმა აქვს აზრათ, მაგრამ, ჩუმათ,—ვიღაცა მოდის აქ.

(შემოდიან: **ბირჟევიკი, ბარონესა** და **ღვდელი** საეკლესიურით ცალ ხელში, აიაზით მეორეში).

მღვდელი. აქა მშვიდობა!

ბარონესა. აქ ადამიანები ყოფილან! ეშმაკები სადღა არიან?

შვიდმუცელაძე. ეხლავე მოვლენ. რათ გინდათ მერე, ქალბატონო ეშმაკები? მზესუმზირის ზეთზე მოხრაკვა მოგეხსიათათ თუ?

ბირჟევიკი. რა ღირს აქ ნეტა მზესუმზირის ზეთი?

შვიდმუცელაძე აქ არ არის ასეთი საქონელი. ეს მე ვიხუმრე. ჩვენ ძმებს აქ ზეთზე ან არა კუპრში ხრაკავენ!

ბირჟევიკი კუპრი? ეს საქონელი კარგათ ღირდება ეხლა. ხომ არ იცით რა ღირს აქ კუპრი?

ბარონესა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ აქ ქაი არის და საქმეებზე ლაპარაკი მოსაწყენია სთვის! ნეტავი აქ თეატრი არის? დრამა ან ბერა?

შვიდმუცელაძე. როგორ არა! ტაფაზე რო, დასვამენ მოსახრაკავათ, ისეთ სიმღერას მოიწყებთ, რომ რათ გინდათ უკეთესი ბერა?

ბარონესა. ეს რა უზრდელობაა!

ბუშტაძე (მღვდელს). მამაო, თქვენ აქ რამ გიყვანათ? თქვენთვის ხომ სამოთხეში ყოფდაკანონებულია ქვეყნის გაჩენიდან!

მღვდელი. გამოვიქეცი, შვილო, სამოთხიდან. იქ ჩემი იმ ქვეყნიური დაუძინებელი მტერი მამა აკაკი შემხვდა, ვეღარ მოვითმინე და საეკლესიური ვსიხლიზე თავში—ამისთვის სამოთხეში ხეირს მაინც არ დამაყრიდენ, ვიცოდი, და ამიტომ მოვრკეცხლე იქიდან. გზაში ამ ცოდვილებს შეეხვდი და მათთან ერთად ჯოჯოხეთისკენ მოვმართე ნაბიჯი.

ბარონესა. ნუ თუ ჩვენ მართლა მოგვხრაკავენ? რა საშინელება არის ეს? იმ ქვეყნათ რაც ბალშევიკებიდან დღე დამადგა· ნუ თუ ის აღარ მიყოფა? სიკვდილის შემდეგ მაინც მეცხოვრა წინანდელათ, მხიარულათ!

შვიდმუცელაძე იქონიეთ მოთმინება, იქნებ მართლა ვიცხოვროთ მხიარულათ კიდევ!

ბარონესა. ბალშევიკებმა იმ ქვეყნათ ყველაფერი ჩამომართვეს,—ღირსებაც კი, და ამ ბოლო დროს იძულებული გავხდი საეკლესიო სკოლა გამეხსნა.

მღვდელი. აქაც ბევრ განსაცდელს გამოვიელით, შვილო ჩემო!

შვიდმუცელაძე. ნუ გეფიქრებათ, მამაო, თუ კი დედამიწაზე ისეთი წარმატებით ასულელებდით ხალხს, აქ ალბათ ეშმაკებსაც გაიცურებთ!

მღვდელი. ღმერთმა ქნას, შვილო, ღმერთმა ქნას!

ბუშტაძე. ჩვენ შორის კი დარჩეს, ჯერ-ჯერობით, და მე ერთი გეგმა მაქვს...

ბირჟევიკი. ბონებით და ლირებით სპეკულიაცია?

ბუშტაძე. არა! უფრო საფუძვლიანი საქმეა! მოგეხსენებათ, რომ ჯოჯოხეთში ჩვენ გვყვლის ყველანაირი უსიამოვნებანი: ცხელი ტაფა, კუპრი და სხვა ასეთები. გარდა ამისა, აქ, როგორც საოთხეში, შეიძლება კაცს მოწყენილობით სული ამოხდეს: არც თეატრი, არც კლუბი, არც ბირჟა...

ბირჟევიკი. რა გამაძლებინებს მე უბირჟოთ!

შვიდმუცელაძე. არც ერთი სამიკიტნო არ მოიძებნება!

ბუშტაძე. ამიტომაც არის, რომ მე წინადადება შემომაქვს: მოვაწყოთ ცოდვილების სინდიკატი ან ტრესტი და საერთო ძალით გავხსნათ ჩვენ აქ რამდენიმე შემოსავლიანი დაწესებულებანი. მაგალითად, მარაოებით და ყინულით სავაჭრო, რომლებზედაც ცხელ ჯოჯოხეთში დიდი მოთხოვნილება უნდა იყოს; აგრეთვე ტაფების, მარწუხების და სხვა ჯოჯოხეთური მასალების მაღაზიები...

შკიდმუცელაძე. სამიკიტნო, სალუდე, აგრეთვე ჭაჭის არაყის სახდელი ქარხანა შეიძლება გავმართოდ!

ბუშტაძე. ბანკი, ლომბარდი...

ბარონესა. საეკლესიო შკოლა, კარტის სათამაშო სახლი...

ბირჟევიკი აგრეთვე ბირჟა...

მღვდელი. სამრეველო შკოლა, ეშმაკების შვილებისთვის...

ბუშტაძე. სრული ეშმარიტებაა! ჩვენმა ტრესტმა უნდა ხელში ჩაიგდოს ყველა ვაჭრობა-წარმოების დარგები. მოვიწვიოთ უნდა სპეციები და მერწმუნეთ, რომ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ ვიქნებით ჯოჯოხეთის ბატონ პატრონი. ეშმაკები ბოლოს და ბოლოს ცხენებივით იმუშავებენ ჩვენდა სასარგებლოთ!

მღვდელი. ამინ!

(შეიოდიან მეფისტოფელი და ალქაჯა).

მეფისტოფელი. კიდევ მოსულან ახლები? ეგენი გვაკლდათ რაღა! გაიცანით, ეს ჩემი მეუღლე გახლავთ, ალქაჯა მაჯლაჯუნას ასული. (ყველანი თაყვანიანათ ესალმებიან).

ბარონესა (ლაქუცით). ძლიერ მოხარულა ვარ თქვენი გაცნობის! ოხ, რა მშვენიერი არსება ბძანდებით! მე ვგრძნობ, რომ ჩვენ დავმეგობრდებით!

ალქაჯა. ბატისა და ღორის მეგობრობა არავის გაუკონია! დახეთ, რა მოინდომა! გაიხადე ტანზე ჩქარა ეგ ჭინჭები და წამოდი ტაფაზე სახრაკავათ!

ბარონესა. არა, არა! მე არ მიყვარს ხრაკვა!

ალქაჯა. რა უყოთ მერე, რომ არ გიყვარს. ჯოჯოხეთი მაშ რის ჯოჯოხეთია, თუ არ მოგხრაკეთ?

მეფისტოფელი. მოიცა, გეთაყვა, ესენი ჯერ არ არიან შეტანილი აღრიცხვის დავთარში. არც მის უმაღლესობას წარსდგენიან.

ბირჟევიკი. ქალბატონო, ხომ არ გნებავთ აბრეშუმის საკაბე? მაქვს ახალმოდის ნაჭრები. გვიბრძანეთ და მოგარიმევთ. შემიძლია აგრეთვე ერთი ვაგონი შლიაპები და ქალების სხვა მოსართავი ძვირფასი ნივთები მოვიტანო სულ მოკლე ხანში. თქვენც, ბატონო ეშმაკო, იქნებ გესაჭიროებათ საუცხოვო ნაჭერი საშარვლეთ, ან საფიჯაკეთ? ნუ მოგერიდებათ, მე თქვენგან ძვირს არ ავიღებ!

მეფისტოფელი არ მინდა, მე ასედაც კარგათა ვარ!

ბირჟევიკი. რას ნიშნავს კარგათა ხართ კიდევ უკეთესად იქნებით! შვილები, პატარა ეშმაკუნები გეყოლებათ. იმათთვის შეიძლება სათამაშოების შოვნა.

მღვდელი. ცოტა ნახშირს ვერსად ვიშოვნი, რომ საეკლესიური გავაჩაღო? მინდა თქვენს მეუფეს საკმეველი შეუხარჩოლო.

მეფისტოფელი. არ არის საჭირო,—არ უყვარს იმას საკმეველის სუნი.

(შემოდის **მდივანი**).

მდივანი. მისი ჯოჯოხეთური უმაღლესობა, ჯოჯოხეთის მეფე ბელზებელი მობრძანდება! (შემოდის ბელზებელი სამეფო გვირგვინში და წამოსასხამში გამოწყობილი. თან მოყვებიან მხლებლები. ყველანი მოწიწებით თავს უკრავენ ჯდება ტახტზე. (ყველას თვალს მიმოავლებს)

ბელზებელი (მრისხანეთ)· იძრწოდეთ, ცოდვილნო! თქვენ ჩამოვარდით ეხლა ჩემს სამფლობელოში და მე თქვენ გიჩვენებთ საჩვენებელს! გეყოფათ, რაც იქ, დედამიწაზე იმხიარულეთ, იმსუნაგეთ და იცოდვილეთ! ეხლა ინებეთ გავარვალებულ ტაფების ლოკვა და ადუღებულ კუპრში ბანაობა!

ბირჟევიკი. შეიძლება ვინმეს ენებოს, მარა მე კი არ მსურს არც ერთი და არც მეორე!

მდივანი ხმა გაკვინდეთ!

ბელზებელი. კრინტი არ დასძრათ, თუ არ გინდათ სამს სამოცდა ხუთი მკვდარი კატები ჩაგაფერთხო კისერში! სულ რამდენი ხართ აქ? ხუთი ცალი? ძალიან კარგი! მეფისტოფელო, მოახდინე თუ არა განკარგულება, რათა მოამზადონ ხუთი ტაფები და ვანები კუპრით?

მეფისტოფელი ყველაფერი მზათ გახლავთ?

ბუშტაძე. მე ვანა მწყენს!

მღვდელი. მოიგონე, უფალო, თვინიერება დავითისა!

მდივანი. გაჩუმდით, ნუ ყმეღებთ, თორემ...

შვიდმუცელაძე. თქვენო უდიდებულესობავ? ჩემი სარეკომენდაციო წერილი, არქიელისგან თქვენდამი მოწერილი, წაიკითხეთ თუ არა?

ბელზებელი. ფეხებზეადაც არ მკიდია მე შენი არქიელი, ვინ ოხერია! რის წერილი, რა წერილი! ეს სამოთხეში აქვს გასავალი რეკომენდაციებს და არა ჯოჯოხეთში!

ბუშტაძე (ჩუმათ უჩურჩულებს ყურში შვიდმუცელაძეს). სინჯეთ ქრთამი, იქნება ქრთამმა გასჭრას!

შვიდმუცელაძე. თქვენო უდიდებულოსობავ, ნება მიბოძეთ მოგართვათ ერთი ბოთლი საუკეთესო კონიაკი. საგანგებოთ თქვენთვის წამოვიღე იმ ქვეყნიდან.

ბელზებელი. (უნდობლათ). ალბათ, უხეირო რამეა! (უსუნებს). მგონი არა უშავს, სუნი კარგი აქვს. გავსინჯო! ოხოო! მაგარია. საზღვარგარეთიდან უნდა იყოს შემოტანილი. რა გქვია შენ სახელი, ცოდვილო?

შვიდმუცელაძე. შვიდმუცელაძე გახლავართ, დიმიტრი, ვაჭარი და მიკიტანი. სამი სამიკიტნო და ოთხი მაღაზიები მქონდა.

ბელზებელი. დიდი ხანია, რაც მკვდარი ხარ?

შვიდმუცელაძე. ოთხი დღეა, ვიხრწნები უკვე!

ბელზებელი. იმიტომ არის ალბათ ლეშის სუნი რომ უდის (უსუნებს კონიაკს და მონოქავს).

ბირუეკიკი. ნება მიბოძეთ პირველათ გაანობისთვის მეც მოგართვათ საშარელე ნაჭერი. შემიძლია ერთი ვაგონი ფოლაქების დაუყონებლივ ჩაბარება ფრანკო ჯოჯოხეთი, აგრეთვე ორი ვაგონი საპნია და ერთი ვაზელინის!

ბარონესა. (ეშხით). ახ, რა მომხიბლავი კავალერი ბრძანდებით! მე ძალიან მსურს თქვენთან ტანგოს ცეკვა! არ იცით? ცეკვას მე გასწავლით!

ბუშტაძე. გავბედავ და მოგართმევთ საპონქაფის ტრესტის ორ აქციას. აგრეთვე ნება გვიბოძეთ აგირჩიოთ ჰაერ კვამლის სინდიკატის საპატიო თავმჯდომარეთ. ესეც შემოსავლიანი თანამდებობაა! ბანქოს თამაშობთ? არა? უსათუოდ უნდა ისწავლოთ! დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ყველას მოუგებთ!

მღვდელი. თქვენო უდიდებულესობავ, ნება მიბოძეთ წინადადება რიცხვში ჩაგრიცხოთ! მე ამას ხელათ ვიზამ!

ბელზებელი. (მოლბება). გმადლობთ, გმადლობთ! მე რა, მე... გესმის, მეფისტოფელო უბრძანე იქ, მანდამაინც ნუ გაიცხელებენ ტაფებს და კუპრს. ასე, ასიოდე გრადუსამდი კმარა. წადით, იხრაკეთ და იბანავეთ კუპრში ეხლა!

ყველანი. თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენ გვეგონა, რომ შესცვლიდით მთლათ თქვენ განკარგულებას!

ბელზებელი. მთლათ შეცვლა არ შეიძლება! ეს სამოთხეში ხდება ხოლმე, აქ კი არ შეიძლება. შეღავათი კი. აკი მოგეცით შეღავათი,—ასი გრადუსი! წადით, გამოშუშდით, არ გაწყენთ!

ყველანი. ვერ წავალთ! არ შეგვიძლია! შეგვიბრალეთ, გვაპატიეთ! კიდევ მოგართმევთ კონიაკს და სხვა ძვირფას საჩუქრებს! ნუ გაგვირისხდებით.

ბელზებელი. (გაჯავრებით). მე ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს! გასწით ჩქარა! ეშმაკებო! აჩვენეთ გზა!..

(ეშმაკები ერეკებიან ცოდვილებს, რომლებიც იქეთ აქეთ ეხეთქებიან და არ სურთ წასვლა. ბელზებელი მიეყუდება კონიაკს პირზე და წუთს გადნთქავს. შემდეგ ხარხარებს ისეთი ხმით, რომ ცოდვილები შიშით გარბიან იქით, საითაც ეშმაკები ერეკებიან).

(ფარდა)

(დასასრული იქნება).

მთარგ. ს. თოდრია.

პირველი მაისი

მკვეთრ პირველ მაისს
ვეღარ უძლებს ქვეყანა ძველი,
ლეგენდარული სამეფოა
ეგ საუკუნე..
— ჩვენ დაუბრუნებთ დახოცილ ძმებს
ცეცხლს—სიხალისეს:
სისხლის მაისებს...

—

რა ლამაზია ეგ მაისი
გაზაფხული და
ყარხნების ქშენა ათკეცდება
შრომის გულიდან...
ფიქრები-ფიქრზე
მიიწყება ბუმბერაზები
და მიქრის რიგზე—
ბრძოლა იწყება
არის—ბუმ...ბუმ.. რაზმების
უთვალავი ხმლების ტრიალი...
და ზარბაზნების ელვარე ლულა
ახმაურებით გვაიმედებს
ბრძოლა ჩვენია,
არ დალუპულა!..
ასეთი იყო ეს მაისი
ჯაჭვი გონების,
რკინის რგოლებით
დახოცილ ძმებს
ჩვენ შემოვრკალავთ...

—

მკვეთრ პირველ მაისს
ვეღარ უძლებს ქვეყანა ძველი,
ლეგენდარული სამეფოა
ეგ საუკუნე...

შ. ჯანბერიძე.



ამხ. ცროცკი ალლუმზე ათვალიერებს არტილერიას.

პირველი მაისი ლენინგრადში 1917 წელს

(მოგონება)

პირველი მაისია!..

დღეს პირველად დღესასწაულობს თავისუფლად თავისუფალ ქვეყანაში ლენინგრადის პროლეტარიატი, ჯარი...

[illegible]ეშმარიტად დიდებული დღე...

[illegible]ურჩები, მოედნები სავსეა ხალხით, თავისუფალი ხალხით...

[illegible]ორ თვეზე მეტია, რაც განთავისუფლდა ხალხი; ორ თვეზე მეტია, რაც მან დაამხო მძ[illegible]ორვალი, რომელიც საუკუნოების განმავლ[illegible]ბაში სტანჯავდა მას..

[illegible]ენინგრადის ქუჩებზე დღეს თავისუფლად ფრიალებს წითელი დროშა...

[illegible]ველი ქუჩა, ყოველი მოედანი დღეს ხალ[illegible]ხის ზღვას წარმოადგენს...

[illegible]თაც გაიხედავ, წითელი დროშების ზღვაა; წითელ დროშებს თვლა არა აქვს..

ხალხი ზეიმობს...

ხალხი დღესასწაულობს პირველ მაისთან ერთად გამარჯვებას მტერზედ, რომელიც საუკ[illegible]ოდ იქნა დასამარებული!..

[illegible]ომელიც მჯლაჯუნასავით აწვა ხალხს და აღრჩობდა...

ხ[illegible]ლხი მწარედ გმინავდა მის უღელ ქვეშ...

ის ოცნებობდა განთავისუფლებაზე.. იბრძოდა... იბრძოდა მედგრად, შეუპოვრად...

[illegible]ავრამ ძლიერი იყო მტერი იარაღით, ლაშქრით... ყოველგვარ მოძრაობას უმოწყალოდ აღრჩობდა, სისხლის ზღვას აყენებდა...

[illegible]ავრამ აი, დაჰკრა საბედისწერო საათმა და მეფე-მტარვალი თავის ერიცხვი ჯალათებით შეესწარა, მიწასთან გაასწორა ლენინგრადის პროლეტ[illegible]ტარიატმა.

ძლიერი, უდრეკი, პროლეტარიატი, ვითა სტოქია, ისე მოეღლინა დრო-მოკმულ დახავსებულ მეფის მთავრობას და აღგავა პირისაგან ქვე[illegible]ნისა!

დღეს პირველი მაისია...

ლენინგრადის პროლეტარიატი დღეს პირველად დღესასწაულობს თავისუფლად საერთაშორისო დღესასწაულს ძველი რეჟიმის ნანგრევებზე.

აღარ არის... ჩაბარდა ისტორიას ხალხის მოძრაობის ჯალათები—ბოქაულ-პოლიციელ-ჟანდარმერია...

აღარ ისმის ქუჩებში რიხიანი ძახილი:

-- Не собирайтесь, так приказано!

-- Разойдись!

და სხვა.

სამაგიეროდ ყოველ ნაბიჯზე გაისმის ინტერნა[illegible]ციონალი:

„...ეს არს მედგარი ჩვენი
გადამწყვეტი ბრძოლა,
ინტერნაციონალში
ჰპოვებს შვებას ყველა...“

და მ[illegible]რთლაც მოიპოვა შვება დიდი რუსეთის დიდმა პროლეტარიატმა.

მოიპოვა თავისუფლება სრულ თუ არა, ნაწილობრივ მაინც.

[illegible]ზარშან ჩუმად დღესასწაულობდნენ პირველ მაისობას.

[illegible]ზარშ[illegible]ნ წითელი დროშა უკანონო შვილი იყო, მისი გამოჩენა არ შეიძლებოდა... დამალული იყო ბნელ ნესტიან სარდაფში, რომ არ ჩაეგდოთ ხელში მეფის ჯალათებს, რომელთაც ისე საშინლად აშინებდა, რომ მის ქუჩაში გამოჩენისათანავე ეს ჯალათები სისხლის მორევს აყენებდნენ, ბრალიანს და უბრალოს ყველას უმოწყალოდ სცელავდნენ!..

დღეს კი წითელი დროშა თავისუფლად, ამაყად ფრიალებს სატახტო ქალაქის ქუჩებზე და ხმამაღლა გაიძახის:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

„ძირს კაპიტალი!“

„ძირს ბურჟუაზია!“

„ძირს ხალხის მჩაგვრელები!“

„გაუმარჯოს პირველ მაისს!“

„გაუმარჯოს ძმობა-ერთობას!“

„გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას!“

და შორს არ არის ის დრო, როდესაც ყველა ეს ლოზუნგები ხორცს შეისხავენ.

ამაყად მოდის მუშა-მედროშე.

მოდის მედიდურად, გამარჯვებული, მოაფრიალებს წითელ დროშას და მოუწოდებს მთელი ქვეყნის მუშებს ბრძოლისაკენ... დიახ, მედიდურობს იგი, ჭკრძნობს სიდიადეს იმ საქმისას, რომელიც მან გააკეთა.

დიახ, დიდი, დიდი საქმე გააკეთა...

ის, რაც ვერ შესძლო ჯერჯერობით უფრო განვითარებულმა, უფრო დაწინაურებულმა ევროპის მუშამ, შესძლო რუსმა მუშამ: მან დაამხო რუსეთის თვითმპყრობელობის ტირანია, მან ჩამოაგდო ტახტიდან სისხლის მსმელი მეფე, მან ერთის დაკვრით მოსპო, მიწასთან გაასწორა ძველი რუსეთის კოშმარული წესწყობილება, მან გაანთავისუფლა თვითმპყრობელობის ბრჭყალებიდან დაპყრობილ-დამონებული პატარა ერები, რომელნიც მოსპობის გზაზე იდგნენ, რომელნიც სულს ჰლაფავდნენ დესპოტიურ მეფე-ჯალათის უღელ ქვეშ!

ნუთუ არ შეჰფერის მედიდურობა ყველა ამის მომქმედს?

შეჰფერის...

რომ შეჰფერის, რომ უადგილო არ არის მისი მედიდურობა, სიამაყე, ეს თითონაც ესმის..

და აი ამიტომ არის, რომ დღეს, პირველ მაისს, თავისუფლად მოაფრიალებს წითელ დროშას და ხმამაღლა მოუწოდებს მთელი ქვეყნის დაჩაგრულთ:

„პროლეტარებო მთელი ქვეყნისა, შეერთდით!.. ძალა ერთობაშია! დაამხეთ, მოსპეთ თქვენი ქვეყნის ბურჟუაზია და თქვენც ასე თავისუფლად გამოდით ქუჩაში წითელი დროშებით!!“

ტყუილად არ მოუწოდებს რუსი მუშა ევროპიელ მუშას...

ევროპაში უკვე ისმის მოძახილი ამ მოწოდებისა...

ევროპის პროლეტარიატი უკვე ისხამს იარაღს თავის მჩაგვრელის დასაახობად...

და შორს არ არის ის დრო, როდესაც მთელი ქვეყნის მჩაგვრელები დაემხობიან, აღიგვებიან ქვეყნის პირიდან!..

მჩაგვრელთა ნაცვლად გამეფდება მშრომელი კლასი...

პირველი მაისი იქნება დღესასწაული მთელი ქვეყნის პროლეტარიატისა და წითელი დროშაც თავისუფლად იფრიალებს მთელ ქვეყანაზე...

გაუმარჯოს პირველ მაისს!

მუშა ნიკო ასლამაზაშვილი.

ამხ. ცროცკი მიცინგბე

ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა)

(გარდაცვალებიდან 30 წლის შესრულების გამო)

1894 წლის 29 აპრილს საქართველოს მშრომელ ხალხს ულმობელმა სენმა წაართვა მისი საუკეთესო მეგობარი, დამცველი და გულის მესაიდუმლე ეგნატე ნინოშვილი-ინგოროყვა.

ჯერ კიდევ ჩვილი იყო, როცა ბუნებამ მას პირველათ აგრძნობინა თავისი მრისხანება და ულმობელობა: ექვსი თვის ეგნატეს დედა—მოუკვდა და რომ მას მსხვილად და მეორე დედათ მამიდა არ მოვლენოდა ალბათ ბუნებით სუსტ ეგნატეს უფრო ადრე მოიტაცებდა სიკვდილი.

7 წლის ეგნატეს მამიდამ დაიწყებინა წერა-კითხვა. შემდეგ ის ერთი მღვდლის ოჯახში მიაბარეს, სადაც მას ბისიკე მოწმობით ერთს წუთსაც არ ასვენებდენ, და თუ თავისუფალი დრო დარჩებოდა ლოცვებით უტენავდენ თავს.

ეგნატეს, მამიდას წყალობით 1876 წელს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში შევიდა. ის თუმცა მოსამზადებელ კლასში მიიღეს, მაგრამ ჩქარა გამოცდები ჩააბარა და მეორე კლასში გადაიყვანეს.

საშინელ გაჭირვებაში ცხოვრობდა ეგნატე, მაგრამ სწავლას მაინც მუყაითად ეკიდებოდა და ერთ-ერთ საუკეთესო და ყველაზე უფრო განვითარებულ მოწაფედ ითვლებოდა.

ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში ყოფნის პერიოდს ეკუთვნის ეგნატეს ასე ვსთქვათ პირველი რევოლიუციონური მონათვლა.

ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლები ფაქტიურად არამზადა დეკანოზის სიმონ ქიქოძის ხელში იყო *). სიმონ ქიქოძეს სასწავლებელი საწველფურად ჰქონდა გაადქცეული თავისი ძმის, იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელის ავტორიტეტით ზურგ-გამაგრებული, ის თავს ხალიფად გრძნობდა და სასწავლებლის ხარჯზე ჯიბეს ისქელებდა. მიუხედავათ იმისა, რომ სასწავლებელს საკუთარი კარგი შენობა ჰქონდა, ს. ქიქოძემ მოახერხა, რომ სასწავლებელი მის, ამისათვის შეუფერებელ სახლში მოეთავსებინათ, რაშიც წელიწადში 1200 მანეთს იღებდა, გარდა ამისა ის „ეკონომიას“ ეწეოდა შეშაზე, მასწავლებლებზე, სასწავლო საგნებზე და ამ „ეკონომიის“ მთელი „შედეგები“ გაუმაძღარი „ღვთის მსახურის“ ჯიბეში გადადიოდა.

1876 წელს სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად დანიშნეს ივანე ლიაძე, კაცი ახალი იდეებით, ახალი მისწრაფებით გატაცებული.

ლიაძე და გაუმაძღარი ხუცესი რასაკვირველია ვერ შეეწყობოდენ ერთმანეთს და მათ შორის დაიწყო ბრძოლა, ბრძოლა რომელშიაც ლიაძეს მხარს უჭერდა სასწავლებლის მოწაფეების საუკეთესო ნაწილი და მაშინდელი ქართული პრესა.

მაგრამ აბა ესენი თუგინდ ყველანი ერთად რას გახდებოდნენ მაშინ, როცა გამეფებული იყო ქრთაში, მოსყიდვა, დასმენა და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საქმეების ბედი ვაჭარ-მოხელეების ხელში იყო.

ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა).

ლიაძე დამარცხდა.

მოწაფეებმა ეგნატეს მეთაურობით გაფიცვა გამოაცხადეს.

ამ გაფიცვას მოყვა ეგნატეს სასწავლებლიდან დათხოვა, დათხოვა ისეთი მოწმობით, რომ მისთვის ყველა სასწავლებლების კარები დახურული იყო.

მაგრამ ამ დამარცხებამ და სასწავლებლიდან დათხოვამ სულით არ დასცა ეგნატე. ის თავის ამხანაგებთან ერთად განაგრძობდა მეცადინეობას და კითხულობდა რაც კი ხელში ჩაუვარდებოდა. ჩქარა იმდენათ განვითარდა, რომ ბევრ თავის მასწავლებელს აჯობებდა ცოდნით.

ამ დროს მან აღძრა შუამდგომლობა სასწავლებელში უკან მიღების შესახებ.

არც მისი მეორე შუამდგომლობა კარგი მოწმობის მიცემის შესახებ იქნა დაკმაყოფილებული.

ეგნატემ ერთ თავის ნაცნობ მამასახლისთან იშოვნა კეთილსაიმედობის მოწმობა, ჩააბარა გამოცდები და 1879 წელს ს. ჩოჩხათში მასწავლებლად დანიშნეს.

მაგრამ სწავლის წყურვილით გატაცებული ერ დიდხანს ვერ გაჩერდა სოფელში. ორი წლის შემდეგ მან დასტოვა სოფელი და გაემგზავრა ბათომში, რომ აქ ფულები ეშოვნა და სწავლის -გასაგრძელებლად საზღვარ-გარეთ წასულიყო.

აქაც მან ჩქარა მიატოვა მოიჯარადრე, რომელთანაც ამხანაგად შევიდა, რადგან დარწმუნდა, რომ ამ საქმეში ფულებს მუშების მოტყუებით იძენენ და ტელეგრაფის მოხელეთ შევიდა.

ვერც მოხელის ყოფას გაუძლო ეგნატემ და ტფილისში ასოთ-ამწყობობა დაიწყო.

აქ ის ხშირად შიმშილობდა და ჩქარა მან (1886 წ.) ისევ სოფელს მიაშურა, სადაც თავის ნაცნობ მამასახლისთან დადგა მწერლათ.

იმავე წლის დამლევს ეგნატემ მოახერხა თავისი დიდი ხნის ნატვრის ასრულება და საზღვარ-გარეთ გაემგზავრა.

ექვსი თვე დაჰყო მან საფრანგეთში. საშინელ გაჭირვებას განიცდიდა, იგი იქ და ბოლოს იძულებული იყო სამშობლოში დაბრუნებულიყო.

1889 წელს ეგნატე უკვე ბათომში არის, როტშილდის ნავთის ქარხნის უფროს მეშათ.

აქ აღმოაჩნდა მას ის საშინელი სენი, რომელმაც ჩქარა წუთისოფელი გამოასალმა.

ამხანაგები შეეცადენ, რომ გამოგლიჯათ სიკვდილისათვის ეგნატე, მაგრამ ვერაფერი უშველეს.

ავადმყოფი ეგნატე დაბინავდა სოფელში.

ამ დროს ეგნატე უკვე აშკარა რევოლიუციონერი, მარქსისტი იყო. მ[illegible] პუბლიცისტობას მოჰკიდა ხელი [illegible] რამდენიმე საპოლემიკო წერილი დასწერ[illegible] „ივერიის“ მაშინდელი ხელმძღვანელის „მეგ[illegible]ლეს“ წინააღმდეგ, „ივერია“-სთან მან ყოველივე კავშირი გასწყვიტა, რადგან ნათლ[illegible] დაინახა „ივერიელების“ ნამდვილი სახე [illegible] იგრძნო თუ საით ეჭირათ მათ ხაზი.

უკანასკნელ წუთამდი არ გაუკდია ეგნატ[illegible] კალამი ხელიდან ისე მოუსწრო სიკვდილმა.

1894 წელს ცხოვრებისაგან განაწამებ[illegible] მწერალმა სამუდამოთ დახუჭა თვალი.

ის დასაფლავებას აუარებელი ხალხი [illegible] ესწრო საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდ[illegible] ამ ხალხს შორის უმრავლესობას წარმოადგ[illegible] და მაშინდელი მესამე დასის წარმომადგ[illegible]ლები და ეგნატეს დასაფლავება საქართველ[illegible]ში წარმოშობილი ახალი ძალის პირველი უ[illegible] დესი დემონსტრაცია, ასე ვსთქვათ პირველ[illegible] არაოფიციალური ყრილობა იყო.

—

ეგნატე ნინოშვილი უდიდესი ხელოვან[illegible] ხელოვანი მშრომელთა წრიდან გამოსული.

*) იხ. „რევოლიუც. ბატიანი“ № 6. გელეიშვილის ბოგონები ინგოროყვაზე.

ეგნატეს გამოსვლამდი ლიტერატურულ ასეზზე მთელს ქართულ ლიტერატურულ პოკიებს უმთავრესად მაღალი, შეძლებული ებიდან გამოსულები ფლობდენ და რა ილადაც არ უნდა ყოფილიყვენ ისინი განბილი გლეხკაცობისადმი, უმთავრესად, რან მუშათა კლასი მხოლოდ ისახებოდა მა, ისინი, რასაკვირველია, თავისი თვალსასით მიუდგებოდენ სოფლათ არსებულ ურთობას და ამ ურთიერთობით იქ შექმნილ ომარეობას.

ისთავად ცხადია, რომ ისინი ვერ მისწვდენ საკითხის სიღრმეს. მათი მოღვაწეობის ეაგი, სარჩული, ნაციონალური საკითხი . და თუ ისინი დაინახავდენ მაშინდელი ვრების უარყოფითი ფაქტებს, ისინი მხოდ ამ თვალსაზრისით უდგებოდენ მის დაებას.

ირიდონ მცირიშვილების, გოგია უიშვიის და ქრისტინეების, ასეთი უჩინარი ხალტანჯვა-წვალებით სავსე ცხოვრების და ა მხოლოდ მათი წრიდან გამოსულს შეო.

ეთი იყო ეგნატე ნინოშვილი.

მთრის სუხიან თვეში დაბადებული ის დანვე დასუსხა ცხოვრებამ, წაართვა მას ა, შემდეგი ხანმოკლე ცხოვრებაში კი მუდამ სიმშილთან, სიცივესთან საშინელ ან ბრძოლაში გაატარა.

ნატე ნინოშვილი მარქსისტი მწერალი

მის ნაწერებს ვერვინ წაართმევს მხატვრულ ღირსებებს, მაგრამ მათში წითელი ზოლივით არის გატარებული მარქსისტული სოფლმხედველობა, არსებულ ურთიერთობათა მარქსისტული გაგება.

ეგნატე ნინოშვილს მარქსისტული სოფლმხედველობის გამომუშავებაში პირველყოვლისა უდიდესი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ როგორც უღარიბესი გლეხის შვილი თავისი თვალით ხედავდა თუ რა იყო სოფლის დაბჩავების მიზეზი, მეორე მხრით ამ გარემოებაში ფრიად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეგნატეს დაახლოებამ საქართველოში რევოლიუციონური მოძრაობის თვალსაჩინო ხელმძღვანელებთან (მიხა ცხაკაია, სილიბისტრო ჯიბლაძე და სხვები).

დღეს გოგია უიშვილები და სპირიდონ მცირიშვილები თავისუფალი არიან. ვერვინ აუწერს დღეს მის უკანასკნელ სარჩო-საბადებელს, ვერვინ ითარეშებს სოფლად ავარულად. დღეს სოფლათ ცხოვრების პატრონები უიშვილები და მცირიშვილები არიან.

საქართველოს მშრომელი ხალხი ღრმა სიყვარული და პატივისცემით მოიგონებს ამ ადამიანს, რომელიც თავისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში გულში ატარებდა უსაზღვრო სიყვარულს მისდამი და რწმენას მისი უკეთესი მომავლისადმი.

ვ. წ.

საავადმყოფოდან შინისაკენ

(დასახჩრებულის დღიურიდან)

ავადმყოფოდან მოვდივარ ქვეითად, დაობილი ილლებით ჩემს დაძველებულს ჯნებს და მოვრაკუნობ გზატკეცილზე... , რა მიჭირს სიარული!!!

ლი ფეხი კოჭთან მქონდა წაჭრილი... ბკივდა.

ამებს მიმარეი...

ბებმა მუხლთან გადამჭრეს...

რ ჭრილობა სრულიად კი არ არის მოებული.

ახ, ახლა მოვდივარ საავადმყოფოდან...

ლით სჯობდა მოგზაურობა, მაგრამ ერროშიც არ მაბადია.

ვითად მოვდივარ...

არჯნების შემწეობით...

ირს... ძლიერ მიჭირს...

არჯნები ძველია, მოკლე... დანჯღრეული.

დი მანძილი მიძევს წინ სავალი...

ოცი ვერსტი იქნება.

ევარი განვლე კიდეც..

ი დღეა გზაში ვარ...

ოიც კიდევ მინდა...

ი... მეტი...

ვეთილი ვარ...

ებზე კოჭრები დამადგა ყავარჯენზე დაბ.

, იარაც გამიჩნდა.

ივა,—მშია, მწყურია კიდეცა.

ლი ფეხიც მიკანკალებს დაღლილობის

მაინც ეს გზატკეცილი აჭირვებს საქმეს...

ძნელი სავალია...

მეტი რა გზა მაქვს: უნდა ვზომო და ვზომო!..

მეჩქარება.

შინისაკენ მეჩქარება:

დედის ნახვა მესწრაფება...

ის ჩემგნით გულგადალეულია...

ოჰ, ვით გა ხარებს, რომ დამინახავს!..

გულში ჩამიკრავს...

რა ტკბილია დედის მკერდი!..

ვენატრები დედას...

საბრალო დედავ, იტანჯვის შენი შვილი...

პატარა და-ძმებიც გაიხარებენ, რომ დამინახვენ.

ვეღირსები კი მათ ნახვას?..

ვეღირსები ჩემს კერას მივუჯდე?..

ბმობლიური კერა, ეზოს მიდამო, ოკვანი ჩემის ყმაწვილობისა!..

რა ტკბილია, რა ტკბილი!..

მაგრამ მთელი სახელმწიფოები სძევს ჩემს სახლამდი,—ზღვები, ოკეანები, სალი კლდის მთები.

ხუმრობაა?..

ყავარჯნებით უნდა ვიარო.

მოქანცული ვარ და მოტეხილიც...

სამი საათის სავალია ეტლით...

ხუთი საათის სავალია ცხენით...

რვა საათის საკალია ჯანმრთელთათვის ფეხით...

ხუთი დღის სავალია ჩემთვის...

დედაჩემო, იცი რა ახლოსა ვარ?..

ახლოს ვარ, ახლოს...

მივდივარ მარტო, თანამგზავრი მაინც მყავდეს!..

მყავს... მყავს...

წყვილი ყავარჯენი.

ვენაცვალე მათ!..

ყოველ მეგობარზე ერთგული მეგობარი...

დასახჩრების შემდეგ მეგობრები სულ შემომეცალა...

ესენი არიან ჩემი განუყრელი მეგობრები...

რა ერთგულად მემსახურებიან!..

მათ არ იციან ღალატი... ორგულობა...

ასეთი ერთგულება რომ ადამიანებში იყოს!..

მივდივარ, მივდივარ და ცხენის ფეხის ხმა მომესმა...

უკან მოვიხედე... და დავინახე ჩემი შორი ნათესავი მდიდარი: ბურჟუა...

გამეხარდა:

იქნებ ცხენი დამითმოს ხუთ საათში სახლში ვიქნები.

მომიახლოვდა.

— ბიჭო, ბიჭო, გამარჯობა!..

— ვახტანგს გაუმარჯოს!..

— სადა ჰყოფილხარ?..

— საავადმყოფოდგან გეახლები...

— მერე ქვეითად?..

— დიაღ, ქვეითად...

— ეტლით რად არ წამოსულხარ?..

— ფული!..

— ჰო მართლა ფული არ გექნებოდა ბეჩაო!..

როდის წამოდი?..

— ხუთი დღეა გზაში ვარ...

— საწყალო!.. არ გშია, ან არ გწყურია?..

— ძალიან!..

— მოღლილი იქნები!..

— მეტის მეტად!..

— ხელები არ გტკივა?..

— უჰ, ძალიან!..

— ცხენზე ჯდომა შეგიძლიან?..

გამეხარდა, ვიფიქრე იქნებ...

— როგორ არა!.. ვაჭენებ კიდეც!..

— ოო, ყოჩაღ!.. ყოჩაღ!..

მან ცხენს მათრახი გადაჰკრა და გზა გაგრძო.

— მშვიდობით!—მომძახა.

— ჯანდაბას იქით! — ეუპასუხე მე და ერთგული ყავარჯნებზე დაბჯენილი განვაგრძე გზა...

გ. ლომთათიძე.

იცვლება ძველი

ძველსა სამყაროს სახე ეცვლება,
ბედს დასტირიან დღეს მტარვალები,
დუხჭირი ყოფნა გარდაიქმნება,
და დღეს ბნელეთს სწვავს ცეცხლის ალები.
ხალხთა ცხოვრება განახლებული,
მეტ ბრწყინვალებით უხვად ციალებს;
კომუნარების ყიჟინის ხმაზე,
ამღერებს ქვეყნის ყრუ ინტერვალებს...
აქ სამართლიანი სიმართლემ შთანთქა,
გარეთ გრიალებს წითელი ქარი;
დიადმა მცნებამ დიდი ბელადის
ყველა მხარეში შეაღო კარი...
მსოფლიო მშრომელთ ულიმის ბედი,
წინ მიიწევენ რჩეული მიზნით;
და ბრძოლის ხაზი მხოლოდ ერთია:
და ამ გზის ლოზუნგს ბრბოში გადვისვრით!.

ხიო ხიდისთაველი.

ჯორჯ ბაირონი

(ბიოგრაფია)

მიმდინარე წლის 19 აპრილს შესრულდა 100 წელიწადი მეცხრამეტე საუკუნეში ინგლისის უდიდესი პოეტის ჯორჯ გორდონ ბაირონის გარდაცვალების დღიდან.

დაიბადა ის 1788 წ. 22 იანვარს ლონდონში.

ბავშობის დროს ბაირონი მოუსვენარი და თვითნება იყო. ერთი რაღაც უბედური შემთხვევის გამო მისი ერთი ფეხი დამახინჯებული აღმოჩნდა დაბადების დროს და ბაირონი კოჭლი დარჩა სამუდამოთ. ეს უკანასკნელი გარემოება მისი სულიერი ტანჯვის საგანს წარმოადგენდა მთელს მის სიცოცხლეში.

ბაირონი ჯერ კიდევ 5 წლის არ იყო რომ დედამ სკოლაში მიაბარა. სკოლაში ის ძლიერ უგულოთ სწავლობდა. ერთი უკანასკნელი მოწაფეთაგანი იყო თავის კლასში. თავისუფალ დროს უყვარდა კითხვა ან მარტო სეირნობა ზღვის პირას.

ორი წლის შემდეგ დედამ ბაირონი ებერდინის წყნარი შკოლიდან გაროს არისტოკრატიულ შკოლაში გადაიყვანა.

საზაფხულო არდადეგების დროს 1802 წელს ბაირონმა პირველათ ნახა თავისი და ავგუსტა (ბაირონის მამის შვილი პირველი ცოლიდან). თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდი ბაირონისათვის ავგუსტა ყველაზე უსაყვარლესი და ახლობელი ადამიანი იყო.

1805 წლის ოქტომბერში ბაირონი გამოეთხოვა გაროს და გაემგზავრა კემბრიჯის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად.

1806 წელს ბაირონი ამზადებს გამოსაცემად თავისი ლექსების პირველ კრებულს. კრებული გამოშვებულ იქნა მხოლოდ მცირე რაოდენობით, მხოლოდ ბაირონის ახლო ნაცნობი პირებისთვის იყო დანიშნული ის და როცა მისი ლექსები არ მოეწონა ერთ მის მეგობარს, ბაირონმა საკუთარი ხელით დასწვა თავისი პირველი წიგნის ყველა ეგზემპლიარები.

ჩქარა მან გამოსცა მეორე კრებული, რომელსაც მისი ნაცნობ-მეგობრები აღტაცებით შეხვდენ. ასეთი შეხვედრით ფრთებშესხმული ბაირონი შეუდგა მესამე კრებულის გამოცემას, რომელიც 1807 წლის მარტში გამოვიდა.

1808 წელს „ედინბურგის მიმოხილვაში", იმ დროის ერთ ერთ თვალსაჩინო კრიტიკულ ჟურნალში, დაიბეჭდა ბაირონის მესამე წიგნის განხილვა. ანონიმური ავტორის წერილი სასტიკი და ულმობელი იყო. ის ახასიათებდა ბაირონს როგორც უსაქმო კაცს, რომელსაც მხოლოდ იმიტომ აინტერესებს პოეზია, რომ სხვა საქმე არა აქვს. ბაირონში ავტორი არ ხედავდა იოტის ოდენა ნიჭსაც.

ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ, ბაირონი გაემგზავრა ლონდონში. აქ ის მოექცა უზარ-მაზარი ქალაქის ქუჩური ცხოვრების ცენტრში. დროს უმეტესობას საროსკიპო სახლებში ატარებდა.

ამავე დროს ბაირონი ამზადებდა სატირას, რომელსაც სასტიკად უნდა დაესაჯა „ედინბურგის მიმოხილვის" სულის ჩამდგმელები.

ეს სატირა ისეთი ბოროტი კილოთი იყო დაწერილი, რომ საშინლად აღაშფოთა ყველა ის პირები, რომლებიც ბაირონს ჰყავდა მხედველობაში.

ამ სატირის მეორე გამოცემის ბეჭდვის დროს ბაირონი გაემგზავრა აღმოსავლეთისაკენ. ამ მოგზაურობაზე ის ბავშობიდან ოცნებობდა.

ამ მოგზაურობის დროს მან ინახულა ესპანეთი, კუნძული მალტა, ალბანეთი, საბერძნეთი, ოსმალეთი.

ჯორჯ ბაირონი

1810 წელს ავადმყოფი ბაირონი დაბრუნდა ინგლისში. პირველი ცნობა, რომელიც მან აქ მიიღო იყო მისი მეგობარის იდლესტონის გარდაცვალება. ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა მისი დედა.

1811 წლის მეორე ნახევარში ბაირონი თავისი მამულიდან (ნიუსტედში) გადასახლდა ლონდონში, სადაც გაეცნო იმ დროის პოეტებსა და ლიტერატორებს. ამ დროს ეკუთვნის მისი დამეგობრება ცნობილ ირლანდიელ პოეტთან, ტომას მურთან, მომავალ მის ბიოგრაფთან.

1812 წლის მარტში გამოვიდა მისი უკვდავი პოემა „ჩაილდ გაროლდ".

როცა „ჩაილდ გაროლდი" დაიბეჭდა, ერთი თვის განმავლობაში 8 გამოცემა გასაღდა. ბაირონი ერთი დღის განმავლობაში გახდა ცნობილი.

„ჩაილ-გაროლდის" შემდეგ დაიბეჭდა „გიაური", „აბიდოსელის საცოლე" და სხვა მისი აღმოსავლური პოემები.

1815 წლის ბაირონი დაქორწინდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ბაირონსა და მის ცოლის შორის დაიწყო უსიამოვნება და ისინი განშორდენ ერთმანეთს, უფრო სწორად რომ ვთქვათ ცოლი მოშორდა ბაირონს და წავიდა მამასთან და თან წაიყვანა ბაირონის საყვარელი შვილიც.

ბაირონის მტრებმა მისი ოჯახური უბედურება მისთვის საზოგადოების თვალში სახელის გასატეხად გამოიყენეს და დაიწყო პოეტის წინააღმდეგ საშინელი კამპანია.

პოეტი სდუმდა. ის საჭიროდ არ თვლიდა პასუხის მიცემას „საზოგადოების" უსამართლო აღშფოთებაზე. მაგრამ დარჩენა თავის თ[illegible] მემამულეებს შორის მას უმძიმდა და ის მ[illegible] რეჯერ გაემგზავრა სამშობლოდან.

ეს იყო 1816 წელს.

შვეიცარიაში ის შეხვდა ინგლისის მეო[illegible] მწერალს შელლის. შვეიცარიაში ყოფ[illegible] დროს ბაირონმა დასწერა „შილიონის ტ[illegible]

შემოდგომაზე მან დასტოვა შვეიცარია [illegible] იტალიაში გაემგზავრა. აქ ის ბევრს მოგზ[illegible] რობდა, ათვალიერებდა ისტორიულ ადგილ[illegible] და თან ბევრს სწერდა.

იტალიაში ყოფნის დროს დასწერა მან [illegible] ისტორიული დრამა—„მარინო ფალიერ[illegible] „ორი ფოსკარი" და „სარდანაპალ", [illegible] მისტერია—„კაინი" და „ცა და დედამი[illegible] „დონჟუანის" მეხუთე ნაწილი, „დანტეს [illegible] ნასწარმეტყველება" და სხვა.

იტალიაში ყოფნის დროს პოეტი მხურვ[illegible] მონაწილეობას იღებდა იტალიის პოლიტი[illegible] საქმეებში. მისი სასახლე შეთქმულების თა[illegible] საფარად გადაიქცა.

1823 წლის 13 ივლისს პოეტი გაემგზა[illegible] საბერძნეთში საკუთარ გემზე „ჰერკულე[illegible] რომ საქმით შეეწყო ხელი საბერძნეთის [illegible] თავისუფლებისათვის ოსმალების ბატონ[illegible] საგან. ბაირონს თან ახლდა რამდენიმე [illegible] მეგობარი.

საბერძნეთის საქმეებში ბაირონმა არაჩ[illegible] ლებრივი პოლიტიკური ნიჭი და წინდახე[illegible] ლობა გამოიჩინა. მისი დახმარებით საბერ[illegible] თის მთავრობამ დაიქირავა ფლოტი.

1824 წლის თებერვალში, როცა ბაირ[illegible] ოსმალების წინააღმდეგ ენერგიული მოქმ[illegible] ბისათვის ემზადებოდა, მისი გვარდია აჯან[illegible] და ლაშქრობა გადაიდგა.

15 თებერვალს ბაირონმა ცუდათ იგრ[illegible] თავი.

პოეტის მდგომარეობა კი ამ დროს უ[illegible] და უფრო უარესდებოდა. მისი ბიოგრაფ[illegible] ცნობებით ამ მდგომარეობას თვით ბაირო[illegible] საკმაოთ უწყობდა ხელს.

მას ძლიერ აშინებდა სიმსუქნე: სახე დ[illegible] მახინჯდებაო და ამიტომ მარტო პურითა[illegible] ყველით იკვებებოდა.

9 აპრილს ბაირონმა თავის დისგან ავ[illegible] ტასაგან მიიღო წერილი, რომ მისი ქალი[illegible] კარგათ არის. ამ ცნობამ ისე გაახარა ბაირ[illegible] რომ მან გადასწყვიტა ცოტა გაესეირნ[illegible] სეირნობის დროს ბაირონს წვიმამ მოუს[illegible] და გაცივდა. პოეტი ცუდათ გრძნობდა თ[illegible]

18 აპრილს მის მხლებლებს უკვე არ [illegible] რებოდათ ეჭვი, რომ ბაირონის საათები [illegible] თვლილია.

ავადმყოფ პოეტს უკვე ლაპარაკი აღარ [illegible] ეძლო და ადამიანი ძლივს გაარჩევდა [illegible] ლუღლუღს „ავგუსტა, ადა!" 19 აპრილს [illegible] ღამის 5 ნახევარ საათზე ინგლისის უდიდ[illegible] პოეტი გარდაიცვალა.

მისმა მეგობრებმა მისი ნეშთი ინგლ[illegible] გაასვენეს.

N

ბიბლიოგრაფია

ყოველთვიური სამეცნიერო კრებული „ჩვენი მეცნიერება“.

თებერვალი-მარტი № 9—10. რედაქტორ-გამომცემელი ან. შილაკაძე. ტფილისი. ფასი 90 კაპ.

ჟურნალში მოთავსებულია მრავალი საყურადღებო წერილები. პირველ რიგში მიდის პროფ. დ. უზნაძის წერილი: „სასწავლო საგანთა ინტერესის მოტივები“. წერილის შინაარსი მოწმობს მის მეცნიერულ გამოკვლევის ხასიათს. ავტორი სრულიად ახალი თვალსაზრით იხებავ ამ საკითხს, რომელსაც იმავე დროს წმინდა ფსიქოლოგიურ საკითხებს უკავშირებს. წერილის ბოლოში, წინამდეგ ზოგიერთ მკვლევართა ამავე საკითხის შესახებ, პროფ. უზნაძე აშენებს სრულიად ახალი კლასიფიკაციას და ცხრილს სასწავლო საგანთა ინტერესის მოტივებისას.

შემდეგ მიდის წერილები. ივ. ჯავახიშვილის: ქართველი ერის ისტორია. წერილი მელიქსეთ-ბეგის „ძველი მხატვრობა“ გარეკახეთში წერილები გიორგი ნათაძის და დოც. იოსელიანის. უნდა ავღნიშნოთ ერთი გარემოება, რომელსაც ჟურნალმა აუცილებლად ყურადღება უნდა მიაქციოს. რამოდენიმე ნომერი გამოვიდა უკვე და სოციალურ მეცნიერებიდან არც ერთი წერილი არ არის მოთავსებული. ჟურნალში სოციალურ-მეცნიერებებს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან ეხლა ს. ს. რ. კავშირის უნივერსიტეტებში, და ამიტომ აუცილებლად საჭიროა ჟურნალმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პრობლემებს სოციალურ მეცნიერებიდან ეს დიდი დეფიციტი არის ჟურნალის, და მას გამოსწორება სჭირია. ჩვენ საკმაო ძალები გვყოფს იმისათვის, რომ რედაქციას მიაწოდოს მასალები ამ საკითხებიდგან, საჭიროა მხოლოდ რედაქციამ თავი შეიწუხოს და მიმართოს მათ წერილებისათვის თორემ ისე ჟურნალში თქვენ სულ ან შეხვდებით წერილებს ისტორიიდან, ან ერთ-მეცნიერებიდან ან კიდევ ხუროთ მოძღვრებიდან. გარდა იმ საზოგადოებისა, რომელიც დაინტერესებული არის ამ საკითხებით, ჩვენ გვყვას სხვა საზოგადოება და უფრო მრავალრიცხოვანი, რომელიც დაინტერესებულნი არიან უფრო სხვა პრობლემებით და ჟურნალის რედაქციამ მათ მოთხოვნილებებს ყურადღებით უნდა მოეპყროს. ჟურნალი ამითი მოიგებს და მოიგებს ყოველ მხრივათაც.

ჟურნალში მოთავსებულია კ. კაპანელის „წერილი-ესტეტიური კრიტიკის ახალი მეთოდი. „წერილი ყოველ მხრივად სუსტია. უპირველეს ყოვლისა კი მეცნიერულის თვალსაზრით. როდესაც რაიმე ახალის პრეტენზიებით გამოვდივართ საზოგადოების წინაშე, აუცილებლად საჭიროა საზოგადოების მივაწოდეთ ყოველ-მხრივი არგუმენტაცია გამოთქმულ აზრის ნათელ საყოფათ. ეს წერილს აკლია. რაში მდგომარეობს ეხალი მეთოდი? კაპანელის აზრით ეს ახალი მეთოდი შემდეგნაირად უნდა დახასიათდეს: „ყოველი ხალხის ცხოვრება და ისტორია, ყოველ ხალხის ხელოვნება და ფილოსოფია, რელიგია და იდეალები იშლებიან და იზრდებიან პირობების და მდგომარეობის მიხედვით“ აქედან დასკვნა: კერძოდ ხელოვნური ნაწარმოებიც უნდა დაფასებულ იქნას მდგომარეობის მიხედვით და იმ პირობების გათვალისწინებით რომელშიდაც მას მოუხდა წარმოშობა-განვითარება „ეს დებულება თავისთავად სწორია მისაღები. მაგრამ რას ნიშნავს „მდგომ.რეობა“ ხელოვნური ნაწარმოები უნდა ისახავდეს „მდგომარეობას“? მგარამ ფაქტიურად ეს ხომ ასეა: ყოველი ხელოვნური ნაწარმოები „მდგომარეობის“ ანარეკელია. აქ ახალი არაფერია ახალი მეთოდის ღირებულება უნდა გამომეღავნებულიყო თვით ხელოვნების ბუნების გაგებაში. ეს კაპანელის წერილში არ სჩანს, რის გამო მისი წერილი მეცნერულ არარაობას წარმოადენს.

აღსანიშნავია კიდევ შემდეგი: კაპანელს გასაოცარი თერმინოლოგია აქვს შემუშავებული მაგ. **აყოვლადება** ყოვლად მიუღებელია თუ აყოვალდება ნიშნავს обобщенее-ს მაშინ რუსული თერმინი общий=ყოვლადს. რაც მიუღებელია.

ჩვენ ურჩევთ კაპანელს ყურადღება მიაქციოს იმ კომისიას, რომელიც განათლების კომისარიატთან არსებობს სპეციალურად მეცნიერული თერმინების გამომუშავებისათვის და რომელშიდაც მონაწილეობს იღებენ ჩვენს მეცნიერების საუკეთესო ძალები.

ურჩევთ, კ. კაპანელს სრულიად გულწრფელად მეცნიერულ სიდინჯეს და მეცნიერებისადმი ზრდილობიანად 'მოპყრობას. ჟურნალის ბიბლიოგრაფიული ნაწილი უეჭველად ღირებია.

მკითხველი.

გუგაზოულის მდინარე*)

გუბაზაულო, ნაჟურო
მაღალ მთათ ძუძუ-მკერდისა,
ბროლო, ანკარა—კანკასავ,
რძეო, ნაშხეფო კლდებისა.
საბანად გრილო, საამოვ,
მბრუნავო წისქვილებისა,
სიცხისგან შეწუხებულის
მომკვლელო წყურვილებისა;
მომრწყველო, გამცოცხლებელო,
ჭალების, თუ მინდვრებისა;
დილით პირგადამბანელო
ხასხასა ნაპირებისა,—
ბუდე ხარ, ბუდე ჭრელ-ზურგა
გემრიელ კალმახებისა—
მით ხარ პირ-ჩამატკბობელი
დიდის თუ პატარებისა.
მაგრამ თან მატარებელიც
ვარ შენის მძულვარებისა:
კალმახთან ერთად ბუდე ხარ,
შხამ-კბილა შავ გველებისა,
თევზის დამერა მეშინის,
მეშინის დაშხამებისა.
გუბაზოულო, ნაჟურო
მაღალ მთად ძუძუ მკერდისა,
ბროლო, ანკარა—კანკასავ,
რძეო, ნაშხეფო კლდებისა!..

გ. ლომთათიძე.

*) მდინარეა გურიაში.

ჰაერბალანი

დაბლა ყოფნა მომეწყინა,
ზევით-ზევით ავყე მაღლა,
თითქო ფრთები შემეძინა,
არ მემჩნევა შიში, დაღლა,
აღთქმულ მხარეს მოსჩანს ბინა,
კმარა, ბედმა, რაც იძაღლა,
კუნტ-საპყრები დარჩნენ შინა,
მათი მიმდევს ფიქრი, ნაღვლა!

—

ღრუბლებს იქით გადავცილდი,
ძირს ცოდვილი მიწა გაქრა,
იალბუზის წვერის ბინდი
დაირღვა და დაიხფრა.
მემანქანე, წინ გაფრინდი,
შორს გაშალე ფრთების აფრა,
გულო გმირო, ნუ შეშინდი,
ახლო არის ჩვენი ნატვრა!..

გიგო ხეჩუაშვილი.

სალამი ქარხანას

სალამს მოგიძღვნი ქარხანავ,
მიზიდავს შენი გრიალი,
ლითონის ღერძზე ასხმული
ბორბლების სწრაფი ტრიალი.

ღერძზე ასხმული ბორბლები
ყველა მას ემონებიან,
გადაბმულები ღვედებით
ერთმანეთს ეკონებიან.

ყველა თვის საქმეს ასრულებს,
წაღმა-უკუღმა ბრუნავენ,
სულიერი და უსულო
ერთმანეთისთვის ზრუნავენ.

მტკიცეა მათი კავშირი,
ქარხანაც მიტომ ხმაურობს,
შრომას აყვარებს მშრომელსა,
იბრძვის და აურ-ზაურობს.

ქურები წითლად ვარვარებს,
ელავს ლითონი მდუღარე,
გულს მაინც გაგიხალისებს
რაც გინდა იყო მწუხარე.

კვერი სცემს, გრდემლი ხმას აძლევს,
ხვედა აჰყვება ხვედასა,
ბიჭებო, ოფლის მღვრელებო
ნეტავი თქვენსა დედასა!

და საბერველიც უბერავს,
მილებში ქარი ზუზუნებს,
ზოგჯერ გასცდება კალაპოტს,
სივიწროვეზე წუწუნებს.

პირ ვიწრო მილებს ასკდება,
მიერიეკება ძალითა,
ვისაც არ სჯერა, იხილოს
სამუედლო თავის თვალითა!

შაქრო ნავთლუღელი.

კ ი ნ ო

რ უ ს ე თ ი.

„აელიტა“. კინო-საზოგადოებამ „რუს“ უკვე დაიწყო გადაღება სურათის „აელიტა“ ა. ტოლსტოის რომანის მიხედვით. რომანის მოქმედება სწარმოებს ნაწილობრივ მარსზე და ნაწილობრივ დედამიწაზე. სურათის ის ნაწილი, სადაც მოქმედება დედამიწაზე სწარმოებს უკვე გადაღებულია.

სურათი ცირკის ცხოვრებიდან. პოეტი ანტოკოლსკი სწერს სცენარს ცირკის ცხოვრებიდან.

„ცუდ საზოგადოებაში“ ა. გლობა სწერს სცენარს ვ. გ. კოროლენკოს მოთხრობის მიხედვით: „ცუდ საზოგადოებაში“.

„თბილი კამპანია“ გოსკინო ამზადებს სურათს უპატრონო ბავშვების ცხოვრებიდან „თბილი კამპანია“ სურათს დგამს მური.

კონსტრუქტივიზმი ეკრანზე. გოსკინომ დაავალა კონსტრუქტივისტს ა. განს შეადგინოს სცენარი, რომელიც გამოხატავს კონსტრუქტივიზმის არსს კინოში.

„გილიოტინა“ სურათი „გილიოტინა“, რომელიც რუსმა რეჟისორმა ბუხოვეცკიმ დადგა საზღვარ-გარეულ გადააკეთა ვ. ბოიტლერმა. გადაკეთებული „გილიოტინა“ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის უფრო სწორ სურათს იძლევა.

„ბრძოლა რადისთვის“ გოსკინომ მიიღო დასადგამათ ა. გოლდმანის სცენარი ბრძოლა რადისთვის“. სცენარის თემაა—კონცესია კავკასიის მთებში. მოქმედება სწარმოებს ნაწილობრივ ამერიკაში, ნაწილობრივ ამიერ-კავკასიაში.

„ბატკო კნიშის ბანდა“. გოსკინომ უკვე მოამზადა და ახლო ხანში გამოშვებული იქნება სურათი „ბატკო კნიშის ბანდა“.

„კინო სიმართლე“. გამოვიდა „კინო სიმართლე“ № 19. სურათი მიძღვნილია მუშა და გლეხ-ქალისადმი.

„მისტერ ვესტის თავგადასავალი“ გოსკინომ უკვე გადაიღო სურათი „მისტერ ვესტის თავგადასავალი ბოლშევიკების ქვეყანაში“. 7 აპრილს მოსკოვში გაიმართა სურათის საზოგადოებრივი განხილვა.

„უსარგებლო გამარჯვება“. სევზაპკინო ამთავრებს გადაღებას სურათის „უსარგებლო გამარჯვება“ ა. ჩეხოვის მოთხრობის მიხედვით.

თქმულება ქალთა ციხეზე. აზერბაიჯანის ფოტო-კინოს სამმართველოს წარმომადგენლობამ მოსკოვში მოაწყო საზოგადოებრივი განხილვა სურათის „აღმოსავლური თქმულება ქალთა ციხეზე“. ეს სურათი გადაღებულია მოსკოვში.

კინო-ბუხარაში. სევზაპკინო სპეციალურ კინო-ექსპედიციას გზავნის ბუხარაში ბუხარელი ლეგენდების და ზღაპრების ადგილობრივ დასადგამათ.

„9 იანვარი“ სევზაპკინო დგამს სურათს „9 იანვარი“ პ. შჩეგოლევის სცენარით.

თ ე ა ტ რ ი

რ უ ს ე თ ი.

„კუკ-კლუკს კლან“. მოსკოვის თეატრ „პალასში“ ამზადებენ დასადგამათ ვ. შერშენევიჩის და სიდროვ-ოკსკის პიესას „კუკ-კლუკს-კლან“.

სოციალურ-გმირული დრამის თეატრი. მარტის უკანასკნელ დღეებში მოსკოვში გაიხსნა სოციალურ გმირული დრამის თეატრი.

„მხატვარი და მაყურებელი“ გამოვიდა ჟურნალი „მხატვარი და მაყურებელი“ № 2—3. სხვა და სხვა საინტერესო წერილებს შორის ჟურნალში მოთავსებულია ა. ლუნაჩარსკის წერილი „ლენინი და ხელოვნება“.

„ბაბილონელი ადვოკატი“. კამერულ თეატრში დაიდგა ა. მარიენგოფის ახალი პიესა „ბაბილონელი ადვოკატი“.

საფრანგეთი.

კაიზერის პიესის დადგმა პარიზში. პარიზში პირველად ათი წლის ბოიკოტის შემდეგ დაიდგა გერმანული პიესა. დაიდგა გ. კაიზერის „ხანძარი საოპერო თეატრში“.

გერმანიაში.

ფაშისტები თეატრში. ვენაში ერნსტ ტოლერის პიესის წარმოდგენის დროს ფაშისტებმა სკანდალი მოაწყვეს და წარმოდგენა ჩაშალეს.

ერნსტ ტოლერის ახალი პიესა. ერნსტ ტოლერმა დასწერა ახალი პიესა „Hinkemann“.

„გერმანელი პენკემან“. დრეზდენში ე. ტოლერის პიესის „გერმანელი პენკემან“ (თარგმნილია რუსულათ „ეუგენ უბედური“-ს სახელწოდებით) დადგმის დროს ფაშისტებმა სკანდალი მოაწყვეს.

ჩ ი ნ ე თ ი

„მეფის დალაქი“ შანხაიში. მანხეიმი ინგლისურ თეატრში (ლაიისეიტ ტეატრ) დაიდგა ა. ლუნაჩარსკის პიესა „მეფის დალაქი“. ინგლისის პრესამ წინასწარ აცნობა საზოგადოებას „ბოლშევიკების კომისარის“ პიესის დადგმის შესახებ. წარმოდგენას დაესწრენ ინგლისის, იაპონიის და საფრანგეთის კოლონიები თავ-თავისი კონსულებით. ინგლისელ გაზეთების თანამშრომლებს არ მოეწონათ, რომ მეფეს ყელი გამოსჭრა დალაქმა.

რუსმა მცხოვრებლებმა და ჩინელმა სტუდენტებმა ოვაციები გაუმართეს მსახიობებს და რეჟისორ სმოლენსკის, რომელიც დალაქის როლს თამაშობდა.

მ უ ს ი კ ა

რ უ ს ე თ ი.

ახალი მუსიკალური საზოგადოება. მოსკოვში მოეწყო „სიმფონიური ანსამბლის შეგობართა საზოგადოება“. დამაარსებლები არიან ო. დ. კამენევა, ნ. ი. ბრიუსოვა, ლ. სოსნოვსკი და სხვები.

კატორღის სიმღერები. რუსეთის მსახიობთა ერთმა ჯგუფმა მოსკოვში გამართა კონცერტი, რომელზედაც შესრულებული იქნა კატორღელთა სიმღერები. მსახიობთა ჯგუფს განზრახვა აქვს ასეთი კონცერტები მოაწყოს საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა ქალაქებში.

მუსიკალური გამოფენა. აპრილის მეორე ნახევრისა და მაისის პირველ ნახევარში აქციონ. საზ-ბა „საერთაშორისო წიგნი“ და სახელგამის მუსიკალური სექტორი აწყობენ მთელ რიგ კამერულ მუსიკალურ საღამოებს.

ე. სიგენტის კონცერტები. აპრილის შუა რიცხვებში მოსკოვში გაიმართა უნგრეთელი ახალგაზრდა კომპოზიტორის ე. სიგეტის რამდენიმე კონცერტი. დასავლეთ ევროპის პრესა სიგეტის ადარებს კრეისლერს, კაბელიეს და სხვა ცნობილ მუსიკოსებს.

ი ნ გ ლ ი ს ი.

რიხარდ ვაგნერის ქვრივი.

კომპოზიტორის რიხარდ ვაგნერის ქვრივი დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდის. მისი დახმარების მიზნით ინგლისის „National Opera“-მ მოაწყო საქველმოქმედო წარმოდგენა. დაიდგა რ. ვაგნერის ოპერა „ტრისტან და იზოლდა“.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

რ უ ს ე თ ი

ახალი ჟურნალი. აპრილის ბოლო რიცხვებიდან ლენინგრადში გამოდის ახალი ორთვიანი ჟურნალი «Русский Современник». ჟურნალის პირველ ნომერში დაიბეჭდება მაქსიმ გორკის მოგონებები ლენინზე და ლ. ანდრეევის დაუბეჭდავი მოთხრობა „ცხენი სენატში“.

„ათი დღე, რომელმაც შესძრა ქვეყნიერება“. მოსკოვში გამოვიდა ჯონ რიდის წიგნის „ათი დღე, რამაც შესძრა ქვეყნიერება“-ს მეორე გამოცემა (25.000 ც.) რამდენიმე თვეში გამოვა მესამე გამოცემა (50.000 ც.).

„ახალი ნაპირები“. მარტის ბოლო რიცხვებში მოსკოვში შესდგა რევოლიუციის პლატფორმაზე მდგომ რეალისტ-მწერლების გაერთიანება „ახალი ნაპირები“. გაერთიანება ახლო ხანში უშვებს საკუთარ ჟურნალ.

დ ა ნ ი ა.

გიოტეს და გეტოტეს შესახებ ნაწერებთა გამოფენა. კოპენგაგენში პროფესორი კარლ ლარსენი აწყობს გიოტესა და გიოტეს შესახებ ნაწერების გამოფენას.

რუსეთის პროლეტ. მწერალთა კავშირი

მაისის დამლევს მოხდება სრულიად რუსეთის პროლეტარულ მწერალთა კავშირის წევრთა ყრილობა.

ადგილობრივი ორგანიზაციები (სამაზრო თუ სარაიონო) გზავნიან თითო დელეგატს.

ეროვნულ ერთეულები ყრილობაზე გზავნიან 5—10 დელეგატს.

ხელოვნების ქრონიკა

წარმოდგენა ნიკო ქართველიშვილის მოსაგონებლად. 24 აპრილს, რუსთაველის თეატრში ნიკო ქართველიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნა: „სამანიშვილის დედინაცვალი“.

მოსკოვში არსებულ ქართულ დრამატიულ სტუდიის სახელმწიფო მომარაგებაზე გადაყვანა. საქ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით მოსკოვში არსებული ქართული დრამატიული სტუდია გადაყვანილი იქნა სახელმწიფო მარაგზე.

საბავშვო გაზეთი პირველ მაისისათვის გამოვა სოც. აღზრდის მთავარ მმართველობის თაოსნობით საბავშვო გაზეთი. „პირველი მაისი“.

გურული სიმღერები. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მოიწვიოს გურიიდან ცნობილი ხალხური მომღერლები სიმღერის ჩასაწერად. სიმღერის ჩაწერა მინდობილი აქვს . ბალანჩივაძეს და კ. ფოცხვერაშვილს.

„ნიგვზარეთის ღვთისმშობელი“. დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ივ. გომართელის მოთხრობა: „ნიგვზარეთის ღვთისმშობელი“.

სამხატვრო აკადემია. ქართულ სამხატვრო აკადემიას დაეთმო ახალი ბინა (ქებულაშვილისეული) სადაც მოეწყობა აგრეთვე დიდი სახელოსნო მოქანდაკეთათვის.

„ცეცხლის აკორდები“. იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა პროლეტარულ პოეტის გოგიტო ციმბირელის ლექსთა კრებული: „ცეცხლის აკორდები“. წინასიტყვაობით და ავტორის სურათით.

წითელ თეატრის გახსნა. 3 მაისს სახალხო სახლში გაიხსნება წითელი თეატრი. წარმოდგენილი იქნება დ. კობახიძის რეჟისორობით ემ. ვერხარნის: „რიჟრაჟი“—7 სურათად.

ალ. წუწუნავას ლექცია. მაისის შუა რიცხვებში რეჟისორი ალ. წუწუნავა, რომელიც ჩამოვა მოსკოვიდან წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ათი თვე თეატრალურ მოსკოვში“.

ახალი წიგნი. გამოვიდა ალ. მიქაბერიძის მიერ თარგმნილი ლათინურიდან წიგნი: „მეტამარფოზები“.

წიგნი: „ლენინი“ პროფკავშირთა საბჭოს გამომკემლობამ გამოსცა წიგნი: „ლენინი“. წიგნი შეიცავს 300 მეტს გვერდს და შედის ყველა რჩეული ნაწერები, რომელიც კი დაბეჭდილა ლენინზე.

ს. შანშიაშვილის ახალი ნაწარმოები. ს. შანშიაშვილმა დასწერა: „მკვლელი ნიღაბში“, რომელიც დაიბეჭდება ჟურნალ „დროშა“-ში.

ვლადიმერ მესხიშვილის დრამ წრე. ცენტრალურ წით. არმიის კლუბთან დაარსდა ვლ. მესხიშვილის სახელობის დრამატიული წრე.

კინო ქუჩაში. პირველ მაისისათვის თავისუფლების მოედანზე ხალხს აჩვენებენ კინო სურათებს პირველი მაისის ცხოვრებიდან.

კომპოზიტორ სულხანიშვილის ხსოვნის საღამო. ახლო ხანში რუსთაველის თეატრში გაიმართება კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილის ხსოვნის საღამო, რომლის შემოსავალი გადაეცემა განსვენებულის ქვრივ-ობლებს.

შ. არაგვისპირელის მოთხრობები. სახელმწიფო გამომცემლობამ მიიღო გამოსაცემად შ. არაგვისპირელის მოთხრობები.

სახ. კინო მრეწვ. სამმართველოში. სახ. კინო მრეწვ. სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა ამხ. ავაქოვი.

ახალი წიგნი. იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა მიხეილ ადამაშვილის მოთხრობების პირველი ტომი.

საერთაშორისო მხატვრობის გამოფენაზე. ქართველ მხატვართა საზოგადოებამ მიიღო მოწვევის ბარათი საერთაშორისო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად ვენეციაში.

ახალი ჟურნალი: „სიმეონი“ მაისის პირველ რიცხვებში გამოვა ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების ჟურნალი „სიმეონი“.

ფრ. ენგელსის ძეგლი. სახალხო მოქანდაკემ გამოჭკეთა ფრიდრიხ ენგელსის ძეგლი.

„კაცია ადამიანი“? გადმოკეთებული იქნა საბავშო პიესად: „კაცია ადამიანი“, რომელიც ამ დღეებში დაიდგმება საბავშო თეატრში.

პერესტიანის იუბილე. მაისში გადახდილ იქნება იუბილე კინოს რეჟისორის ივანე პერესტიანის 35 წლის სცენაზე და კინო ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავად.

გაზეთი კომუნისტი გაზეთი

პირველ მაისიდან მუშა-მიხსამსახურეებს, წითელ-არმიელებს და მოსწავლე ახალგაზრდობას დაეთმობა

დაკლებულ ფასებში

4 კაპ. ამვე რიცხვიდან გაზეთი ელირება 4 კაპ.

სტამბა „ზარია“ ვოსტოკასი საშა წულუკიძის ქუჩა № 4.